№ 2896
პარასკევი,
26 აგვისტო

ცნობის ფურცელი

№ 9829
პარასკევი,
26 აგვისტო

[illegible]: ცალიკაზე—6კ. „თვეში უდამატებოთ—60 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტი. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კ°მ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის [illegible] გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, ნაშუადღევის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ყოველ-დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი" ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 10 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მან., 8 თვით 4 მან. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მან. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფული გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის" კანტორა უმორჩილესად სთხოვთ მათ პირდაპირ გამოგზავნონ ბანდეროლი ან მოიწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებით გამოგზავნოს.

ცალკე ნომერი გაზეთისა ოთხ გვერდიანი 3 კაპ. სურათიანის დამატებით—5 კაპ.

საერო დებულება
1864 წლისა
მხურველთ შეუძლიანთ უფასოდ მიიღონ თითო ეკზემპლიარი „ცნობის ფურცლის" კანტორაში

გორის სასულიერო სასწავლებლის მმართველობა
ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები 25 აგვისტოდან დაწყებული 1 ენკენისთვემდე გასტანს. განმეორებითი ეგზამენები დასრულდა. (1—1)

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ნამესტნიკის მიერ დამტკიცებული
დრამატიული კურსები
ტფილისი, მიხეილის პროსპ. № 123. ტელეფონი № 788.

კურსი 3 წლისაა. საგნები, რომელსაც კურსებზე ასწავლიან: მკაფიო გამოთქმა და სასცენო ხელოვნება სომხურ, ქართულ და რუსულ ენებზე; გრიმი, ხატვა, ცეკვა, პლასტიკა, მიმიკა, თეატრის ისტორია და ხმის დაწყება.

მიღება 20 ავგვისტოდან ყოველ დღე 12 დან 3-მდე და 5-დან 7 საათამდე, კურსების სადგომში.

პროგრამები იძლევა და იგზავნება უფასოდ. კურსებთან არსებობს სცენა.

(20—319—10) კურსების დამაარსებელი ს. მ. ღოლუხანოვისა

იშვიათი ვაჭრობა
„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის"
ამხანაგობა
ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გავიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაიწყო.

ვაჭრობა
მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.

100,000 მანეთისა.

მთელი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება იმაზე სულ ერთი ფასები დაინიშნოს, რასაც იქ გაჭრობის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ.
საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით უეჭველ კონკურენციის გარეშეა.
ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს საყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.
ფასები შეუვაჭრებლად.
ამხანაგობა. სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—90)

ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა მარშალი სთხოვს მობრძანდნენ ამ წლის 29 აგვისტოს დილს შულავერში: 1) ბორჩალოს მაზრის მიწისმფლობელებს, 2) პატრონთ იმ უძრავ ქონებისა, რომელიც ქალაქების გარეშე მდებარეობს და დაფასებულია საერობო ხარჯის შესაწერად 15,000 მანეთზედ არანაკლებ, და 3) სავაჭრო და საქარხნო დაწესებულებათა პატრონთ, რომელთაც 1905 წლისთვის აღებული აქვთ სავაჭრო მოწმობები 1 და 2 ხარისხისა და სამრეწველო მოწმობები 1, 2, 3, 4 და 5 ხარისხისა. ამ პირთ თავის წრიდან უნდა ამოირჩიონ წარმომადგენლები სამაზრო კრებისთვის, რომლის სხდომაც დანიშნულია 31 აგვისტოს; სამაზრო კრება მსჯელობას იქონიებს ამიერ კავკასიაში, საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ, თანახმად მათის იმპერატორობითი უდიდებულესობის ნამესტნიკის მიერ 1905 წლის 31 აგვისტოს დამტკიცებულ ინსტრუქციისა. (1—6.—1)

ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ო. ნიჟარაძე უმორჩილესად სთხოვს ქუთაისის მაზრის როგორც ყველა მიწათმფლობელს, განურჩევლად წოდებისა და სარწმუნოებისა, რომელიც ქუთაისის სახაზინო პალატის სიებით იხდის მიწის ბაჟებს მიუხედავად რაოდენობისა, ისე იმ პირთაც, რომელთაც ქალაქს გარე ქუთაისის მაზრაში აქვთ რაიმე უძრავი ქონება, დაფასებული საერობო გადასახადისათვის, არა ნაკლებ თხუთმეტ ათასის მანეთისა; ანუ აღებული აქვთ სავაჭრო მოწმობა პირველის ორის ხარისხისა და სამრეწველო პირველის ხუთის ხარისხისა, მობრძანდნენ ქ. ქუთაისს უსათუოდ 27-ს ამა აგვისტოს დილის ცხრა საათზედ, და მიიღონ მონაწილეობა კრებაში ამოსარჩევად ურთიერთ შორის თავიანთ წარმომადგენლებისა. ეს წარმომადგენელნი მონაწილეობას მიიღებენ საგუბერნიო და სამაზრო სათათბირო სხდომებში, რომელიც დაიწყება 30-ს ამა აგვისტოს და რომელიც შეიმუშავებს საერობო (სათემო) დებულებას სახელმძღვანელოდ იმ საგუბერნიო და სამაზრო საერობო (სათემო) დაწესებულებებისა, რომელიც შემოღებული იქნება ქუთაისის გუბერნიაში, განსაკუთრებით და საპატრონოთ გუბერნიისა და თვითეულს მაზრაში საკუთარ სასარგებლო და საჭირო საქმეებისა. (3—6.—2).

სკოლა-პანსიონი და საბავშვო ბაღი
ბუგაევსკი-ერისთავისა.
გადავიდა ქსენიის ქუჩაზე, № 5, სახლი გოკიელოვისა, „ვარცელის" სასტუმროს გვერდზე (კუთხე მიხეილის და ქსენიას ქუჩებისა). მიიღებს მოსწავლე-პანსიონერებს, ნახევარ პანსიონერებს და გარედან მოსიარულეებს. ამზადებს საშუალო სკოლების დაბალ კლასებში. ასწავლიან ახალ ენებს. ცეკვა და მუსიკა. ბავშვების მიღება 24 აგვისტოდან. (3—327—1)

ქუთაისში თ. გ. მაჭავარიანის კერძო
საქალებო პროგიმნაზიაში
მისაღები ეგზამენები დანიშნულია ენკენისთვის 5-ს სწავლა დაიწყება ენკენისთვის 9. მთხოვნელთ შეუძლიანთ მიმართონ სასწავლებლის გამგე მის ბინაზე. ლევაშოვის ქუჩაზე, საკუთარ სახლში. (5—1)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა შაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი [illegible] № 15

კბილის ექიმი
იოანე ა. ახალშენიშვილი
ნიკოლოზის ქუჩისა (№ 82) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ახალ ხიდის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეებით 10—1-მდის.

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30—6.—26)

ექიმი
დ. გედევანიშვილი.
დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და იღებს ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე შინაგან და ნერვიან ავადმყოფებს და ექიმობს ელექტრონით.
ადრესი: კიროჩნი ქუჩა, საზაფხულო კრუჟოკის პირდაპირ, სახლი მარტინოვსკის. (თვ.—328—7).

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს და სხამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 30. (30—11)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი
იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილ. 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.
ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (30—7)

სამარცხვინო ომიანობა

აღმოსავლეთ კავკასია სისხლის მორევში დასცურავს და ცეცხლის ალში იწვის. ომი, საშინელი ომია ატეხილი ორ ეროვნებს შორის. თათრები და სომხები ველურობას ინსტიქტმა შთანთქა და გამძვინვარებულნი ებრძვიან ერთმანეთს. გაჰქრა ყოველივე ადამიანური გრძნობა, მოისპო კაცთმოყვარეობა და სიბრალული; სისხლის ღვრის ექსტაზით დაბრმავებულნი აღარ ინდობენ არც მოხუცს, არც უსუსურ ბავშვს, არც უმწეო დედაკაცს, არც ბრალიანს და არც უბრალოს. ყველას ჰხოცავენ, ყველას ცეცხლზე სწვავენ. საშინელებაა ნამდვილი საშინელება!

რა უფლებით, რის ძალით-და შეიძლება ამის შემდეგ ვიქონიოთ კიდევ იმედი მყუდრო კულტურულ განვითარებისა? რა საფუძველზე უნდა დავამყაროთ ჩვენი საკაცობრიო იდეალები? ნუ თუ აღმოსავლეთ კავკასიის საზოგადოებრივ ძალთა განვითარებამ იმის მეტი სხვა ასპარეზი ვეღარ ნახა თავის ენერგიის დასახარჯავად, რომ ერთიერი მეორეს არ გადაჰკიდებოდა და სამარცხვინო ომიანობა არ აეტეხნა?

მთელმა ქვეყანამ გაიარა ის ველურობის ხანა, როდესაც ერთის მოდგმის ხალხი თავსესხმოდა მეორეს და ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა იმას, და აღმოსავლეთი კავკასია სწორედ იმ დროს, როდესაც მთლად რუსეთის იმპერიის მცხოვრებნი დიდის განმათავისუფლებელის მოძრაობით არიან გატაცებულნი, ეროვნულ შოვინიზმით გამოწვეულს ომიანობის სურათს წარმოადგენს.

ომი ყველგან ადამიანის ღირსების დამამცირებელია, მაგრამ როცა ერთი სახელმწიფო ებრძვის მეორეს, მაშინ ის აზრი მაინც ჰმოწმობს მეომართა ადამიანურ ღირსებას, რომ მებრძოლი ჯარის კაცები ურთიერთისადმი ზიზღს და ღრმად გულში ჩამარხულს კაცთ-მოძულეობას არა ჰგრძნობენ; ის გარემოება მაინც ცისარტყელისავით ანათებს მომავალ ცხოვრებას, რომ ორთავე მხრის მეომარნი მოწინააღმდეგეების მშობლებს, შვილებს და მათს ნათესავ მშვიდს მოქალაქეებს არა თუ ხელს არ ახლებენ, პირიქით იცავენ კიდეც და ამასთანავე ესმით, რომ ან მხოლოდ სხვისა ბრძანება და ან მხოლოდ სამშობლოს სიყვარული აკვლევინებს მათ კაცს და არა ბოროტი გრძნობა ადამიანისადმი. სულ სხვაა ისეთი ეროვნული ომიანობა, რომელიც კულტურულმა ხალხმა აღარ იცის და რომელიც ეხლა ბაქოს, შუშას, ერევანს და ნახიჩევანში მძვინვარებს თათრებსა და სომხებს შორის. ამ ომიანობას არაფერი არა აქვს საერთო სამშობლოს სიყვარულთან, იმისი წყარო მხოლოდ და მხოლოდ კაცთ მოძულეობაა. ეს ომიანობა ვერც თათრებს და ვერც სომხებს სამშობლოს ვერ მისცემს; რომელმა მხარემაც უნდა გაიმარჯვოს, სულ ერთია, ის მაინც ვერაფერს მოიგებს, იმისი გამარჯვება მაინც ეროვნულ სიამაყის შესაქმნელად არ გამოდგება; პირიქით, გამარჯვებული მხარე ასეთს ომში ის დარჩება, ვინც მეტს კაცთ-მოძულებას გამოიჩენს და, მაშასადამე, გამარჯვება აქ მეომრისთვის უფრო სამარცხვინო იქნება, ვიდრე დამარცხება.

კავკასიის მთავრობამ მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად ომის ველზე თავისი ჯარები გაგზავნა და, თუ ენერგიულად მოეკიდა საქმეს, უნდა იმედი ვიქონიოთ, სისხლის ღვრა შეჩერდება. ამისთვისვე მეცადინეობს საუკეთესო ნაწილი როგორც თათრებისა, ისე სომხების ინტელიგენციისა, მაგრამ ისიც კმარა, რომ თებერვლის განხეთქილების გარეგნულად მოსპობამ უკვე ერთხელ მოგვატყუა. გარეგნობით მშვიდობიანობის დამყარება, როგორც ეხლანდელი შეტაკება ამტკიცებს, მხოლოდ დროებითი და გარდამავალი იქნება, რომელიც ისევე ადვილად დაირღვევა, როგორც ეხლა.

არა, თვალთ-მაქცობა და გულ ჩახვეულობა არსად არ ვარგა! ვინც სხვა და სხვა ეროვნებათა მეგობრობის მომხრეა, ის არ უნდა გამოეკიდოს ისეთ წვრილმან ფაქტების გამორკვევას, როგორიც არის შეტაკების პირველ საბაბის გამოძიება და ან ერთის ეროვნებას, ან მეორე ეროვნების კისერზე ბრალის მოხვევა! ტყუილად და ამაოდ იძიებდა ერთის მხრივ ადმინისტრაცია და მეორის მხრივ სომხის, ასე ვთქვათ, განათლებული ინტელიგენცია, თებერვლის შეტაკების გამომწვევს პირებს. აქ პირები, კერძოდ ესა თუ ის თათრები და სომხები, არაფერს შუაში არიან.

თებერვლის გაკვეთილმა სომხებსა და თათრებს თვალი ვერ აუხილა, ობიექტიური და ამასთანავე ნამდვილი მიზეზი განხეთქილებისა ვერ დაანახვა. ნეტავ ეხლა მაინც მიხვდნენ, ეხლა მაინც მიაგნონ ამ მიზეზს და ეხლა მაინც მიიღონ, ვისაც შეუძლიან, რადიკალური და ნამდვილი ღონისძიება სისხლის-ღვრის მომავალში თავიდან ასაცდენად.

ცხადია, ეხლა, ამ წუთას, ვიდრე მიწა უმანკო სისხლით ირწყვის, დრო არ არის განხეთქილების სამუდამოდ მოსასპობად რადიკალურ ზომების მიღებისა, მაგრამ თუ დაწყნარების უმალვე ამ მხრივ არ დაიწყო მუშაობა, თვით დაწყნარება დროებითი იქნება და უფრო საშინელ მერმისის მოლოდინში დავრჩებით.

საერობო სათათბიროების მოლოდინში

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც საერობო თვითმმართველობაზე სულ უბრალო ლაპარაკიც-კი დიდ პოლიტიკურ დანაშაულობად ითვლებოდა და დიდსა და პატარას, მოხელეს და არა მოხელეს სასტიკად აკრძალული ჰქონდა. იმ კრებაზედ-კი, რომლებსაც თითონ მთავრობა მართავდა ადგილობრივ საჭიროებათა გამოსარკვევად, ერობაზე სიტყვის ჩამოგდება შეუწყნარებელ ცოდვად მიაჩნდათ. ერობა, ადმინისტრაციის თვალში, ამბოხების და სეპარატისტობის სიმბოლოს წარმოადგენდა და ამიტომ მთავრობა პირდაპირ აცხადებდა, ამ საკანზე ოცნებაც კი კანონის წინააღმდეგობააო.

დრონი იცვალნენ, ისტორიის ტალღამ წალეკა უწმინდური აზროვნება და გასწმინდა ჰაერი. იგივე ადმინისტრაცია დღეს სხვანაირად სჯელობს და სულ სხვანაირად უცქერის იმავ ერობას. ეხლა დანაშაულობად სწორედ ის ითვლება, რაც ერთის წლის წინად კანონის წინაშე სრულს მორჩილებას აღნიშნავდა; ეხლა თითონ ადმინისტრაცია დაუღალავის ენერგიით სცდილობს საჩქაროდ გაახორციელოს საერობო თვითმმართველობა და ხალხი-კი, რომელიც ციდის ხნის გამოცდილებამ ადმინისტრატორებისადმი სრულს უნდობლობას მიაჩვია, ეჭვის თვალით უცქერის იმის ფაცი-ფუცს.

ერთი-ორი კვირა კიდევ და სამაზრო ქალაქებში ხალხისაგან არჩეულნი პირნი შეუდგებიან იმის გამორკვევას, თუ რა ცვლილებით უნდა იქმნას შემოღებული ჩვენს ქვეყანაში 1864 წლის საერობო დებულება. ჩვენს გაზეთში ერთხელ და ორჯელ არ ყოფილა ნათქვამი, რომ ხალხის წარმომადგენლობა და იმათგან საზოგადოებრივ საჭიროების სხვა და სხვა საკითხის გამორკვევა იმ დრომდე იქნება ცალმხრივი და ძალდატანებითი, ვიდრე უზრუნველყოფილი არ შეიქნება კრების, სიტყვის და წერის თავისუფლება, ვიდრე ხალხი თითონ არ იქნება მიჩნეული საზოგადოებრივ ცხოვრების ასე თუ ისე მოწყობის საკითხში უმაღლეს საჯულოდ, ერთი სიტყვით, ვიდრე დემოკრატიულის პრინციპით არ იქნება გამსჭვალული მთლად საზოგადოებრივი ცხოვრება. ამიტომ, ჩვენ მაგრე რიგად დიდს იმედებს ვერ დავამყარებთ მომავალს სათათბიროებზე.

მაგრამ ეს კიდევ იმასა არა ჰნიშნავს, რომ ამ სათათბიროებს სულ ერთიან ზურგი შევაქცევოდეს. პირიქით, რაც უფრო ვიწროა სარბიელი, რომელსაც ბიუროკრატია ეხლა ნებით თუ უნებურად უთმობს ხალხს სამოქმედოთ, მით უფრო მეტის ენერგიით და მეტის სიმტკიცით უნდა მიიწევდეს ის წინ; მით უფრო მეტს უნდა ეცადოს, ახალი ცხოველ-მყოფელი ძალა და მიმართულება გაამტკიცოს და თავის მისწრაფება შეასრულოს.

სამაზრო და საგუბერნიო კრებებს ნება ეძლევათ თავისუფალი მსჯელობა იქონიონ ადგილობრივ თვითმმართველობაზედა, ვინც ამ კრების წევრად იქმნება არჩეული, ის ზნეობრივად მოვალეა, სავსებით ისარგებლოს ამ ნებით და ისეთი გეგმა დახატოს ადგილობრივის თვითმმართველობისა, რომელიც მართლა შეეფერება ჩვენს ცხოვრებას. რუსეთის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე მესამოცდაათე წლებში სწერდა, ერობის საკითხი სახელმწიფო საკითხია, ერობის ორგანიზაციის საკითხი თვით სახელმწიფოს ორგანიზაციის საკითხია და ამიტომ ერობის ასე თუ ისე მოწყობისთვის ბრძოლა სახელმწიფოებრივ მმართველობის ფორმისთვის ბრძოლააო.

რუსეთში 1864 წლის საერობო დებულებამ სწორედ იმიტომ ვერ დაიჭირა თავი, სწორედ იმიტომ შეიცვალა ის 1890 წლის დებულებით, რომ ერთსა და იმავე სახელმწიფოში ერთსა და იმავე დროს საზოგადოებრივ ძალთა დამოუკიდებელი და თავისუფალი მოქმედება ადგილობრივ საჭიროების საქმეებში და ბიუროკრატიული გამგებლობა საერთო სახელმწიფო საქმეებისა ყოვლად შეუძლებელია; საზოგადოებრივ ცხოვრების მთლიანობა მოითხოვს, რომ ყველა საქმის მოსაწყობად ერთი და იგივე სისტემა, ერთი და იგივე პრინციპი იმოქმედებდეს, როდესაც ადგილობრივი საქმეები დემოკრატიულ საერობო დაწესებულებების ხელშია და საერთო სახელმწიფო საქმეები კი ბიუროტიულ კაბინეტებ-კანცელარიებსა და დარბაზებში სწყდება, მაშინ აუცილებლად ან პირველმა პრინციპმა უნდა დაუცალოს ადგილი მეორეს, ან მეორემ პირველს, ორივე ერთად კი ვერ იხერხებს.

უეჭველია, სამაზრო და საგუბერნიო კრებაზედაც იჩენს თავს ის აზრთა წინააღმდეგობა, ის მიმართულებათა სხვადასხვაობა, რომელიც შეადგენს ეხლანდელ განმანთავისუფლებელ მოძრაობის საფუძველს; უეჭველია, ამ კრებებზედაც აღმოჩნდებიან საყოველთაო არჩევნების მტრები, ადმინისტრაციისაგან საერობო დაწესებულებათა სრულის დამოუკიდებლობის წინააღმდეგნი, საერობო მოღვაწეობის ვიწრო წრით შემოფარგვლის მსურველნი, ერთის სიტყვით, იქაც იჩენენ თავს იმ მიმართულების წარმომადგენელნი, რომელნიც არაფერს ღონესა და მეცადინეობას არა ჰზოგავენ ეხლანდელ წეს-წყობილების გასამაგრებლად, და აი სწორედ ამ მიმართულების დამარცხება, იმისი ზნეობრივი გამტყუნებაა საჭირო...

განზრახ თავის მოტყუება არავის არ შეჰფერის, მით უმეტეს არ შეჰფერის ჩვენს ხალხს, რომელიც ამ ჟამად სოფლად თუ ქალაქად მედგრად ებრძვის ყოველგვარ უსამართლობას. კარგად უნდა გვესმოდეს ამ თავითვე, რომ თუნდაც სამაგალითოდ გაიმარჯვოს სამაზრო და საგუბერნიო კრებებზე დემოკრატიულმა მიმართულებამ, ბიუროკრატიული მმართველობა მაინც არ დაემორჩილება ხალხის ხმას და იმ გვარს ერობას შემოიღებს ჩვენს ქვეყანაში, რომელიც თითონ იმის აზრით ხელსაყრელი და გამოსადეგი იქნება; ნამდვილი გამარჯვება მხოლოდ მაშინ მოიპოვება, როცა ხალხის წარმომადგენლებს სათათბირო კი არა, გადამწყვეტი ხმა ექნება. ამ ხმის მოსაპოვებლად კი აუცილებლად საჭიროა ყველგან და რაც შეიძლება ხშირად მოიპოვებდეს ხოლმე ზნეობრივ გამარჯვებას ხალხური მიმართულება. ზ რ.

* * *

დეპეშა
„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
24 აგვისტო

პეტერბურგი. ლინევიჩის დეპეშა 23 აგვისტოს თარიღით: „22 აგვისტოს მანდარინის გზასთან იაპონელები ჰქლამბდნენ წინ გაჭრას და დაიწყეს სათვრების კეთება, მაგრამ ჩვენის რამდენისამე სროლის შემდეგ, თავიანთ პოზიციებისაკენ დაიხიეს. 21 აგვისტოს კორეაში იაპონელებმა წინ გაიდაშქრეს ფრონტისაკენ ხერიენ-თანსან-შეკუმი რამდენისამე ბატალიონითა და ესკადრონით არტილერიითურთ. თავდაპირველად მტრის მთავარი ძალა მიმართული იყო მარცხენა ფრთის პირდაპირ და კარს შესასვლელად უცნობის პოზიციისთან. დილის 11 ს. უცნობისა და შეუტკბილს პოზიციებს შორის წინ წაიწია კიდევ რამდენიმე ბატალიონმა არტილერიითურთ. შემდეგს მოქმედებაზე არავითარი მოხსენება არ მიგვიღია".

სააგენტოს შენიშვნა ხელშეკრულების ტექსტს ოფიციალურად, როგორც ამბობენ, გამოაქვეყნებენ ხვალ დილით.

მოსკოვი. 24 აგვისტო. სამოსამართლო პალატაში, ხალხის თანადასწრებით არჩევდა საქმე გენ. ტრეპოვის მოკვლის განზრახვებისა. ბრალს სდებენ მოხელის შვილს პოლტორაცკისა და პირადის ჩამომავლობით მოქალაქის შვილს გოლდკოფს. რადა ჩვეულებრივი კითხვები მისცა თავმჯდომარემ პოლტორაცკის, უკანასკნელმა უპასუხა, რომ იგი პასუხს არ მისცემს კითხვებზე, არა სურს რამე საერთო ჰქონდეს სასამართლოთა და ურის ამბობს დამცველზე. გოლდკოფმა უპასუხა კითხვებზე. მოწმე გენ. ტრეპოვს, რომელმაც ჩვენების მიცემა თავის სახლში მოისურვა, ჩვენებას ჩამოართმევს პეტერბურგის სასამართლო პალატა. საქმე გადადეს.

პორტ-სმუტი, 24 აგვისტო. იაპონელებმა 2,000 გირვ. სტერლინგი შესწირეს ნიუ-გემპშირის დარბაზებისთვის დასარიგებლად ნიშნად

ამერიკელების მიერ გაწეულ მასპინძლობის. დღეს მიდიან იაპონიის დელეგატები ნიუ-იორკში. ნიუ-იორკშივე მიდიან დღეს რუსის რწმუნებულნი.

პეტერბურგი. საზღვაო უწყებისადმი ბრძანებაში ნათქვამია: გამორიცხულნი არიან სამსახურიდან წესით და ნეს ქადრის უფროსი სარდალი ნებოგატოვი, კაპიტნები პირველის რანგისა უფროსი კამანდირები; საესკადრო ჯავშნოსნის „იმპერატორ ნიკოლოზ I“-ის—სმირნოვი პირველი და ჯავშნოსნებ „ადმ. სინიავინი“-სა—გრიგორიევი პირველი და „გენ.-ადმ. აპრაქსინი“-სა—ლიშინი. ორთავეს ჩამორთვა ჩინები იმ შედეგებით, რაც აღნიშნულია დანაშაულთა სამხედრო საზღვაო წესდების მე-56 და მე-38 მუხლებში.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

24 აგვისტო

პორტ-სმუტი. კომურა და იაპონიის მისია წავიდნენ ბოსტონში, რუსის დელეგატები—ნიუ-იორკში.

პარიჟი. „რეპუბლიკ ფრანსეზ“-ის სიტყვით იაპონიამ უარი სთქვა კონტრიბუციაზე, იმიტომ რომ მისი ინტერესები სავსებით დაცული.

კიევი. ბინის მაქირავეთ რიცხვი, რომელთაც სათათბიროში ასარჩევი ცენზი აქვთ, 530 კაცამდე აღწევს.

სევსკი, 24 აგვისტო. გუშინ ღამით გათავდა საქმე სადნიში მთავრობისთვის წინააღმდეგობის გაწევის შესახებ. პალატამ გაამართლა ყველანი, კუზმინევის გარდა, რომელსაც ორის თვის სატუსაღო გადაუწყვიტა.

ბერლინი, 24 აგვისტო. გუშინ პორტსმუტიდან მოვიდა დეპეშა, რომელიც დანამდვილებით ამბობს, რომ ტყუილია ხმები ვითომც იაპონიაში აჯანყება მომხდარიყოს და ტელეგრაფის მავთულები დაეგლიჯოს ხალხსო.

ბერლინი ტორნიდან მოსულ ცნობებით ჯარებში არ ყოფილა ახალი შემთხვევა ხოლერისა. ბრომბერგის გამასწორებელ თავშესაფარში ავად გახდა, აგრეთვე ხოლერით, 6 ტუსაღი.

სევასტოპოლი. სამხედრო-საზღვაო სასამართლოს გადაწყვეტილება „პრუტის“ 4 მატროსის ჩამოხრჩობის შესახებ, დაამტკიცა კამანდორმა ჩუხნინმა.

ხერსონი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა ხერსონისა და ელისავეტგრადის საბჭოების შუამდგომლობანი პოლიციელთა მაგივრად ცეცხლის მქრობელ რაზმებში შევიდნენ საზოგადოების წევრები.

სევსკი, 24 აგვისტო. ირჩევა საქმე მთავრობისთვის წინააღმდეგობის გაწევის შესახებ სოფ. სადნიში. ბრალდებული 11 კაცია, მოწმე 33; იცავენ პერგნი, სტარანკევიჩი და ორდინსკი. მემამულე პაპკოვმა უარი სთქვა, გლეხებისათვის ტანჯვა არ მიმიყენებიათ. ჯარისკაცი დასიმულმა კითხვებზე აღიარა, რომ პაპკოვი სცემდა.

პორტ-სმუტი. პროფესორმა მარტენსმა განაცხადა, ხელშეკრულობა ნათლად გვიჩვენებს, რომ ამიერიდან რუსეთმა უარი სთქვა, გაიყვანოს თავისი ძველი პოლიტიკა შორეულ-აღმოსავლეთში. („ასოსიეიტედ პრესს“-ი).

პეტერბურგი დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე დანიშნეს სენატის თავმჯდომარედ, გრაფი სოლსკი კი თავმჯდომარედ სახელმწიფო საბჭოში.—24 აგვისტოს პეტერბურგის სამოსამართლო პალატაში, ხალხის დაუსწრებლად ირჩეოდა რიგი საქმეებისა დიდებულობის პირისპირ შეურაცხყოფისა; ბრალდებულთ [illegible] სიმთვრალის დროს. დამნაშავეთაგან, რომელნიც ყველანი ფაბრიკის მუშებია, 4 გაამართლეს და დანარჩენებს ერთის კვირიდან ერთ თვემდე დაპატიმრება მიუსაჯეს.

ვილნო. რესტორანში ლიდსკის პოლკის კაპიტანი სიკსტელმა, შეურაცხყოფილად ჩასთვალა თავისი თავი მოხელე გრიაზნოვის მიერ და მოჰკლა უკანასკნელი.

ზასლავლი. ცეცხლის გაჩენის შემდეგ განახლებულ გრაფ პოტოცკის შაქრის ქარხანაში ჩამოინგრა სახურავი სამსართულიან შენობისა. მოკლულია და მძიმედ დაჭრილი 22 მუშა.

ვარშავა. ვარშავის ზოგიერთი დაწესებულებათა მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს მუდამ დღე 3-დან 5 კაპეიკამდე გადასდონ და ამგვარად შეკრიბონ კაპიტალი ომიდან დაბრუნებულ სალდათების სასარგებლოდ.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ზავის პირობა. რუსული გაზეთები თითქმის ერთხმად ამტკიცებენ, რომ პორტსმუტში რუსეთს სულაც არ გაუმარჯვნია და საზავო პირობა გაცილებით უფრო სასარგებლოა იაპონიისათვის, ვიდრე რუსეთისათვის; მართალია იაპონიამ რამდენსამე მუხლში დაუთმო რუსეთს, მაგრამ დანარჩენ მუხლებში თავისი გაიტანა და დიდი სარგებლობა და უპირატესობა მოიპოვა.

„ნაშა ჟიზნ“-ი სწერს: ჩვენმა ორმავე სატელეგრაფო სააგენტომ მთელ ქვეყნიერობას საქმე გაუჭირეს ცნობებით, ვითომ ვიტემ ბრწყინვალედ გაიმარჯვა, იაპონელები ტირიან, კომურას ხმა მაღლა მოღალატის სახელს არქმევენ და ხარაკირის გაკეთებას ურჩევენ. იგივე სააგენტოები ამავე დროს იუწყებიან, რომ კომურა პირველ მინისტრად გახდებაო. ჩვენ არ ვიცით, გახდება კომურა პირველ მინისტრად, თუ არა, მაგრამ მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ ხარაკირის გაკეთება არ დასჭირდება. იაპონიამ მეტად ბევრი რამ შეიძინა საზავო პირობის ძალით.

შევხედოთ კარტას. რუსეთის აღმოსავლეთ ნაპირებს იაპონიის ზღვა არტყამს. გემების მიმოსვლისათვის მხოლოდ ეს ზღვა გამოდგება, ვლადივოსტოკიც იმის ნაპირას მდებარეობს. იაპონიის ზღვას რამდენიმე სრუტე აერთებს წყნარ ოკეანესთან.

ჩრდილოეთ მხარეს სახალინისა და ციმბირის შუა თათრის სრუტეა. შეიძლება ოხოტსკის ზღვაში გასვლა, მაგრამ ეს სრუტე იმდენად თხელია, რომ დიდ გემებს იქ გავლა არ შეუძლიათ, ამას გარდა, სრუტე ზამთარში ხუთის თვის მანძილზე იყინება. კუნძულ იესოსა და სახალინს შუა მდებარე ლაპერუზის სრუტე საკმაოდ ღრმაა და მთელი წელიწადი თავისუფალია ყინულისაგან... ამას იქით ეს სრუტე იაპონიის საკუთარ კუნძულებ შუა მოექცევა. მართალია, საზავო ხელშეკრულობის ძალით იაპონელებს უფლება არა აქვთ სახალინზე ციხე-სიმაგრეების აშენებისა, მაგრამ ვინ არ იცის, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობის გამწვავების დროს ამნაირ ხელშეკრულობის ძალა ეკარგება. რუსეთს პარიზის ხელშეკრულობის ძალით უფლება არა ჰქონდა შავ ზღვაზე სამხედრო გემების ყოლისა, მაგრამ როგორც საფრანგეთი 1870 წელს გაჭირვებაში ჩავარდა, რუსეთმა მაშინვე უარი სთქვა ამ პირობის ასრულებაზე.

დანარჩენი სრუტეები წინადაც იაპონიის სამფლობელოს შეადგენდნენ და იქ მხოლოდ იაპონიის ნებართვით შეეძლოთ გავლა უცხოეთის გემებს. დარჩა კორეის სრუტე, ეს სრუტე ყველაზე სამხრეთით მდებარეობს და ორს სახელმწიფოს ჰყოფს: კორეასა და იაპონიას. მაგრამ კორეა ნამდვილად სახელმწიფო კი აღარაა, იაპონიის სამფლობელოდ გახდა და განთქმული ისტორიული კუნძული ცუსიმაც ამ სრუტეში მდებარეობს.

ამნაირად იაპონიის ზღვა ამას იქით მარტო სახელად კი არა, ნამდვილად იაპონიის ზღვა იქნება. რუსეთი ისეთნაირადვე მოემწყვდა ამ ზღვაში, როგორც შავ ზღვაშია მომწყვდეული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შავის ზღვის გასავალს ჰდარაჯობს უძლური ოსმალეთი, იაპონიის ზღვის გასავალს კი ძლიერი და ნიჭიერი ერი.

იაპონიის ზღვის გარდა, დასავლეთ ჩინეთის ზღვაც პეჩილის ყურეთი და ყვითელ ზღვით ამავე მდგომარეობაშია და არა თუ ციმბირის ნაპირები, თითქმის მთელის ჩინეთის ნაპირებიც (ქ. კანტონის ჩრდილოეთით მაინც) იაპონიის მფარველობის ქვეშ იქნებიან, რადგან იაპონიას აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში, წყნარ ოკეანის საზღვარზე, ფორმოზასა და ლიუ-კიუს კუნძულები ეკუთვნის. იაპონია ნამდვილად დიდი სახელმწიფო გახდა და ამიტომ გამოიჩინა სულგრძელობა და ზომიერება.

რუსეთი-კი ორას წელიწადს ცდილობდა, თბილ ზღვის პირად დამკვიდრებას; ციმბირის რკინის გზისა გაყვანითა და ლიაოდუნის დაჭერით, როგორც ეგონათ, მიაღწია კიდეც ამ მიზანს, მაგრამ ეხლა ისევ დიდის ხნით განიდევნა ამ ადგილებიდან. რუსებს ბოლოს დაცინვასავით მოესმით ის სიტყვები, ვითომ რუსეთი შორეულ აღმოსავლეთში საუკუნოდ იმავე დიდ სახელმწიფოდ დარჩა, როგორიც დღემდე იყოო.

ახალი ამბავი

◆ სახელმწიფო საბჭოს უკვე განუხილავს და დაუმტკიცებია პროექტი განაპირა ქვეყნების წარმომადგენელთა რაოდენობის შესახებ. როგორც „ნაშა ჟიზნ“-ი გადმოგვცემს, **სახელმწიფო სათათბიროში**, ამ პროექტით, კავკასიას ეყოლება სულ 28 წარმომადგენელი. ამ ჟამად კავკასიაში ათი მილიონი მცხოვრებია, მაშასადამე, თითო წარმომადგენელი მოდის დაახლოვებით 360,000 კაცზე.

◆ გრაფ სოლსკის კომისიას, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, დაევალა **განაპირა ქვეყნებისთვის სახელმწიფო სათათბიროს წევრთა საარჩევნო პროექტის** შედგენა. „რაზ.“-ს სიტყვით, კომისიას უკვე დაუმთავრებია მუშაობა. თუ ამ გაზეთს დაუჯერებთ, განაპირა ქვეყნებში და მათ შორის კავკასიაში არჩევნები შიდა რუსეთთან ერთად მოხდება მომავალ წლის იანვრამდე.

◆ როგორც უკვე ვწერდით, ამას წინად სიღნაღის მაზრის მესამე განყოფილების მომრიგებელმა შუამავალმა თავ. ჯორჯაძემ **ქიზიყიდან ჩამოიყვანა ტფილისში რამდენიმე გლეხი** და ნამესტნიკს წარუდგინა თავიანთ საჭიროებების მოსახსენებლად. გლეხებმა, სხვათა შორის, სთხოვეს ნამესტნიკს, რომ ყოველივე სახელმწიფო და საერობო გადასახადი ამა მდგომარე წლიდან გაწერილ იქნას გლეხებზე მიწების რაოდენობის მიხედვით, ე. ი. რამდენი დესეტინაც ამა თუ იმ სოფელს უჭირავს, იმდენი ფული უნდა გაეწეროს. ამ თხოვნის სისრულეში მოსაყვანად, მთავრობის მინდობილებით, თავ. ჯორჯაძეს ყველა დაწესებულებაში მოუკრეფია ცნობები იმის შესახებ, თუ თვითეულ სოფელს რამდენი მიწა უჭირავს, და აღმოჩენილა, რომ ზოგიერთ სოფელზე უზომო გადასახადი ყოფილა გაწერილი და ეს გადასახადი სულ არ ეთანხმება მიწის რაოდენობას. ამასთანა სოფლების შესახებ შუამავლის შუამდგომლობა აღუძრავს, რომ ეპატიოთ ამ წლის მეტად გაწერილი გადასახადები. სხვა საზოგადოებებში, რომელთა შესახებაც ცნობები არა ყოფილა დაწესებულებებში, ისევ ძველი წესი დარჩება იმ დრომდე, ვიდრე ადგილობრივ [illegible] მიწათმფლობელობის კომისია და გამოარკვევდეს ნამდვილ რაოდენობას.

◆ 24 აგვისტოს სამრევლო საეკლესიო **სკოლების მაზრის მეთვალყურეთა** კრებამ მთელი დღე მოანდომა სკოლის ტიპის გამორკვევას. კრებამ შესაძლებლად სცნო დარჩეს არსებული სამრევლო სკოლები, მხოლოდ შემდეგის ცვლილებით. სკოლა სამს კატეგორიად იქნება გაყოფილი: პირველს ეკუთვნის წერა-კითხვის სკოლა, სადაც სწავლა ორის წლით გაგრძელდება და რუსულს ენას არ ასწავლიან; მეორეს—ის სკოლები, სადაც ერთი კლასი იქნება ოთხი წლის კურსით და 2 მასწავლებლით. რუსული აქ პირველ წლიდან დაიწყება და ისწავლება როგორც კერძო საგანი. მესამეს ეკუთვნის 2 კლასიანი ნორმალური სასწავლებლები 6 კურსით და 3 მასწავლებლით. ყველა საგანი სამშობლო ენაზედ უნდა ისწავლებოდნენ. სკოლებში უნდა შეიტანონ ისეთი საგნები, რომელიც ცხოვრებაში გამოადგება ხალხს. სკოლები დამოუკიდებელი და დამთავრებულის კურსისა უნდა იყოს. დაწვრილებით სასწავლო პროგრამის შედგენა კრებამ შემდეგ სხდომისათვის გადასდო. გუშინ, 25 აგვისტოს, დიდი კამათი გამოიწვია იმის შესახებ საკითხმა, თუ რა ადგილი უნდა დაეთმოს რუსულს ენას სამრევლო საეკლესიო სკოლებში. თავმჯდომარე თავის ვრცელ სიტყვაში ამტკიცებდა, მცხოვრებლებმა თუ პირველ დღიდანვე რუსულის სწავლება არ დაიწყეს, რუსულს ვერ შეისწავლიანო. ზედამხედველებმა და კრებაზედ დამსწრე პედაგოგებმა დაუმტკიცეს თავმჯდომარეს, რომ სამშობლო ენაზე მომზადებული მოსწავლე ადვილად შეასწრებს მესამე წლიდან რუსულის სწავლებას. კრებამ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა, რუსული ენა მესამე წლიდან ისწავლებოდეს.

◆ გუშინ, 25 აგვისტოს, დილის [illegible] საათზე, **გასტეხეს და გაძარცვეს ტფილისში მამა დავითის ეკლესია**. ბოროტმოქმედებს შეურჩევიათ მოხერხებული დრო, გაუტეხიათ კლიტე და შესულან ეკლესიაში. შიგ ეკლესიაში 20 სხვა და სხვა ყულაბი გაუტეხიათ და ფულად წაუღიათ 50 მანეთამდე. ამას გარდა წაუღიათ 600—700 მანეთის ნივთები; ბარძიმ ფეშხუმი, ჯვარი, გვირგვინები, საცეცხლური და სხვა. დილით ეკლესია ყველაფერი არეულ-დარეული უნახავთ.

◆ გორის მაზრის სოფელ ზეკორის და ბუჯნისის გლეხებს **შუამდგომლობა აღუძრავთ**, სესხი მიეცეთ სასოფლო სამეურნეო თანხიდან სხვა და სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

◆ **ცნობილი ვოსტორგოვი** უმაღლესს სასულიერო მთავრობას, როგორც „კავ.“ გადმოგვცემს, უკვე დაუნიშნავს ახალ ადგილზე. ვოსტორგოვი სარატოვში გადაუყვანიათ საკათედრო ეკლესიის დეკანოზად, ამასთან დაუნიშნიათ იგი ადგილობრივ სასულიერო კონსისტორიის წევრად და „დუხ. ვესტ.“-ის რედაქტორად.

◆ 24 აგვისტოს **ს. ქვიშხეთში, როგორც გვატყობინებენ, არა ჩვეულებრივი ამბავი მოხდა**. დილიდან დაწყებული ადგილობრივ მცხოვრებ აზნაურებს ეწვიათ ხუთი შეიარაღებული კაცი და ყველას იარაღი სთხოვა. უმრავლესობას იარაღი არა ჰქონდა და უარი უთხრა. ამან გამოიწვია ჯერ მუქარა და შემდეგ სახლის გაჩხრეკა. როცა დაამთავრეს სახლების ჩხრეკა და მოსულნი თავის გზას გაუდგნენ, სწორედ ამ დროს აღმოჩნდა ერთი უცნაური გარემოება. იარაღი რომ ვერ ეპოვნათ, ავეჯეულობისა და ფულისთვის მიეყოთ ხელი და ქურდულად წაეღოთ: ზოგს რიდიკული დაეკარგა, ზოგს ოქროს საათი და ერთს ცხრა თუმანი ფული, არც ვერცხლის კოვზებისთვის დაეკლოთ ხელი. გამწარებული ქვიშხეთელები დაედევნენ რაინდებს და ბევრის ჩხუბისა და ლაპარაკის შემდეგ ყველამ თავ-თავისი დაიბრუნა, გარდა ცხრა თუმნისა, ფულის წაღებაზე უარი სთქვეს და არც დააბრუნეს. არ ვიცი, რა ორგანიზაციას ეკუთვნიან ზემოხსენებულნი, მხოლოდ იმის თქმა-კი შემიძლიან, რომ ამისთანა ვაჟბატონები კარგ სახელს არ გაუთქვამენ თავის პარტიას.

◆ 21 აგვისტოს **სოხუმის საპყრობილიდან გაიპარა** 6 კაცი. ერთ ამათგანს ჰბრალდებოდა სოხუმის ოლქის უფროსის პოლკ. პროგულბიცკის მოკვლა. ტუსაღები ბუხრის მილში ამძვრალან და ისე გაპარულან. აქვე მოგვყავს გაქცეულთა გვარები: ივანე ბაგატურია, სოლომონ ჯაიანი, მალხაზ ხურცილავა, ანდრია ეუბირია, ბატა კვარაცხანია და ვასილ ფანცულაია.

◆ როგორც ვწერდით, საქართველოს საექსარხოსოს **სამღვდელოებამ უარი განაცხადა ჟურნალ „სასულიერო მოამბეს“** მიღებაზე. ამ ჟურნალის რედაქციამ დღეს, 26 აგვისტოს, საღამოსათვის დანიშნა კრება

ფელეტონი

მკითხველის დღიურიდან

წინანდელ ჩემ წერილში მკითხველის ყურადღება მივაქციე სპენსერის აზრს მიწის საკუთრების შესახებ. სპენსერს ნათელი წარმოდგენა ჰქონდა ამ საგანზე, სანამ თავის წმინდა მოსწრაფებას არ უღალატა და შეძლებულთა ინტერესებს არ მიეკედლა. სპენსერის მძლავრი ლოღიკა, მსჯელობის უნარი იმაში გამოიხატა, რომ მან განათავისუფლა ეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი საკუთრების განმარტებაში ზედ მრავალ გაუკვალავ ყალბ თეორიებისაგან და ნათლად დაუხატა იგი მკითხველს თვალ-წინ.

ამ მხრივ კეთილშობილების ისტორია მეტად საგულისხმოა: იგი ამტკიცებს, რომ ყველა დაწესებულება, რომელსაც უსამართლობა უძევს საფუძვლად, ბოლო-და-ბოლოს უნდა გაქარწყლდეს, აღიგავოს პირისაგან ქვეყნისა. დიდებულ ინგლისელ ფილოსოფოსის კარლეილის თქმისა არ იყოს, ყოველი უსამართლობა—ყალბი ფულია და რაც უფრო მეტად გამრავლდება ეს ყალბი ფული, მით უფრო მოახლოვდება გაკოტრება—სიყალბის შედეგი.

ძველის დროიდან ცდილობდნენ ინგლისის ლორდები ისე მოეწყოთ თავიანთი თვალუწვდენელი მამულები, რომ მათი უფლება ამ მიწებზე ეჭვს გარეშე ყოფილიყო. მრავალ სასახლეს აშენებდნენ, მსახურთა მთელი ჯარი ჰყავდათ, დიდებულად უმასპინძლდებოდნენ სტუმრებს. ზოგს იმ სიდიდე ბუხარი ჰქონდა სამზარეულოში, რომ შიგ უზარმაზარ შამფურზე აგებულ [illegible] ხარსა სწვავდნენ. ერთმა ლორდმა დაიკვეხა თავის სტუმართან, ყველა ჩემ სასახლეში ყოველ დღე ხუთი ათასი კაცი სჭამს სადილსაო. ამგვარ დიდებულ, კეთილშობილურ ოინებს ერთობ ფერადი სარჩული ჰქონდა. ლორდებმა კარგად იცოდნენ, რომ რაც უფრო მეტ მიწას ჩაიგდებდნენ ხელში, მით უფრო მეტი შემოსავალი დარჩებოდა მათ ქისაში. კარგად იცოდნენ აგრეთვე, რომ ეს წეწვლა, უფრო მეტი ადამიანი აქეთ ვერ შეიგნებდა თავის ბუნებას, თავის სიცოცხლის ნამდვილ მიზეზს, რომ მშიერ-მწყურვალი ადამიანის ხვედრი-უბედურობას, თავის მდგომარეობის შეუგნებლობას და, მაშასადამე, უძლურებას; იცოდნენ, რომ ეგ ადამიანის ხელში ჩაგდება, სულით და ხორცით დაბეჩავება და თავის საკუთრებად გამოყენება ადვილი იყო. ლორდები თავის დიდებით, კარგებულ ბრწყინვალებით თვალს სჭრიდნენ, აბრმავებდნენ უბრალო ხალხს და იზიდავდნენ, როგორც ანთებული ლამპარი იზიდავს და სიცოცხლეს უსპობს პეპლებს. მათ ბრწყინვალებით შეჰყურე ბნელი ხალხი დარწმუნებული იყო, რომ ბატონი ღვთის მიერ ძლევა მოსილი რაღაც განსაკუთრებული სულდგმულია, სხვა რიგად შობილი და აღზრდილი, ზეცარდმო ძალით ხალხზე საბრძანებლად მოვლენილი. ხალხს დიდება და ბრწყინვალება სათაყვანებელ ჭეშმარიტებად მიაჩნდა და არ ესმოდა, რასაკვირველია, რა გვარად იყო მოწყობილი ეს კეთილშობილი თვალთმაქცობა. ხალხს არ ესმოდა, რომ ჭეშმარიტება გაურბის დიდებასა და ბრწყინვალებას, რომ იმის საბუდარი სადა და მარტივია. ჭეშმარიტებას თავისი საკუთარი შინაგანი ძლიერება აქვს, რომლითაც იგი იზიდავს ადამიანს. „დღევანდელ თქვენი გონების მოქმედებას, ამბობს ერთი სახელგანთქმული ფილოსოფოსი:—რა წუნარია ადამიანის აზრი! იმას მშვიდობიან მსვლელობას არ მიუძღვის დაფდაფების მგრძნობი ხმა, არ ამკობს ფერად-ფერადი დროშები, გარს არ ახვევია რკინის შტიკების კრიალა რაზმი. იგი ჩუმია და მშვიდი, მაგრამ მთელის მსოფლიოს ლაშქარი ვერ შეედრება ადამიანის აზრს დიდებითა და ძლიერებით.“ ძალა-უნებურად დაეთანხმება გონიერი მკითხველი მოყვანილ სიტყვებს.

ყოველი ჩვენგანი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ გარეგნული დიდება შინაგან ფუქსავატობის ნიშანია. ეს დიდება ადამიანის გონების დასაბრმავებლად არის მიგონილი, რადგან დაბრმავებულთ კარგად ესმით ძველებური ანდაზა: „ადამიანს გონება დაუბნელდება და სულით და ხორცით კვდებაო“.

დიდხანს გამეფებული იყო ხალხში ყალბი რწმენა, რომ მიწის საკუთრება ღვთის კურთხეული დაწესებულებაა. მიწის მესაკუთრე გლეხობაც უმთავრესად ამ აზრისაა დღეს, ეს რწმენა ბატონებისაგან აქვს შეთვისებული. ძველის დროიდან ჰფლობენ ბატონები მიწა-წყალს, აგრეთვე წყობენ უდგომ-მამულო ხალხს, ამიტომ თავის დიდებს, ადგილის შეძენა, რასაკვირველია, ერთად ერთ გზად მიაჩნდა ხალხს მონობისაგან თავის განთავისუფლებლად. ხალხს არ ესმოდა, საიდან უნდა გაეგო, რომ ეს რწმენა ყალბ ნიადაგზე იყო აგებული. მეცნიერებს თავის სასარგებლოდ იყენებდნენ შეძლებულნი, ქარაგმულ თეორიებსა სთხზავდნენ მიწის საკუთრების გასამართლებლად. ძნელი შეუძლო ხალხს კი დრო და მოცლილობა არა ჰქონდა, რომ მიწის საკუთრების კანონის შესახებ ეფიქრა, იმისი საფუძველი აღმოეჩინა. განუწყვეტელი ჯაფა ხვედრად ხვდა მუშა ხალხს. დიდ ხანს ითმენდა იგი სიღარიბეს და დღესაც ითმენს, მაგრამ ძველ დროსთან შედარებით დღეს სინდისში ნიშნებს ვხედავთ, განთავისუფლების წინამორბედ მერცხლებს. მათ შორის, ჩემის ფიქრით, უპირველესი ადგილი უჭირავთ იმ მწერლებს, რომელნიც მიწის საკუთრების შესახებ მსჯელობენ და ახალ გზას აჩვენებენ კაცობრიობას ამ მავნე დაწესებულებების გასაქრობად.

თეორიები მიწის განთავისუფლების შესახებ ჩვენ დროში უფრო შემუშავებული, საბუთიანი და სარწმუნოა. ძველის დროის მწერლებიც ეხებოდნენ ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს, მაგრამ უფრო გაკვრით, ზედაპირულად. მათ შორის ცნობილია ინგლისელი მწერალი უილიამ ოგილვი, რომელიც ამ ორასი წლის წინად, მეთვრამეტე საუკუნეში სცხოვრობდა. ამ მწერალმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ადამიანები ერთნაირად იბადებიან ამ ქვეყნად, რომ ღვთის [illegible] წოდებრივ დაწესებულებას არ წარმოადგენს. ბუნება და ზნეობრივი გრძნობა ნათლად გვიმხელს, რომ ჩვენ ქვეყნისანი სწორნი ვართ და ძმურად უნდა ვცხოვრობდეთ. ჩვენი დასაბამი ერთნაირია, შემდეგი ცხოვრება კი ამ წუთი სოფელში წოდებრივი, უმცროს-უფროსობის, სიღარიბე-სიმდიდრის მიხედვითაა მოწყობილი. ადამიანი დედა-მიწას ვერ განშორდება, აქ უნდა ეძიოს თავის ცხოვრების სახსარი და ამიტომ სხვებთან ერთად თანასწორი უფლება უნდა ჰქონდეს ამ დედა-მიწით სარგებლობისა. მართალია ზოგიერთებმა დაიჩემეს, დედამიწის უნაყოფიერესი კუთხეები ჩვენ გვეკუთვნისო, მაგრამ მათი ეგოისტური მისწრაფება ვერ დაარღვევს, ვერ აღმოფხვრის ჭეშმარიტებას, სამართლით ვერ შეავიწროვებს სხვა ადამიანთა უფლებას ამ დედა-მიწაზე. ყველას უნდა მიენიჭოს უფლება უფასოდ ისარგებლოს დედა-მიწით იმ ზომით, რამდენიც მას წილად ერგება. თუ აღმოჩნდა ისეთი კაცი, რომელსაც სხვებზე მეტი ადგილ-მამული აქვს, ვიდრე ერგება, ამ მეტი ადგილის ზომის მიხედვით გადასახადი უნდა აძლიოს სახელმწიფოს. ეს ზედ მეტი ადგილი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაუთმონ მფლობელს, თუ სხვები, რომელთაც ეს ადგილი ერგებათ, იმაზე ხელს აიღებენ.

ოგილვის თანამედროვე ინგლისელი თომა სპენსიც სწერდა მიწის საკუთრების შესახებ და იმ დასკვნას მიადგა, რომ მიწა სასოფლო საზოგადოებათა საკუთრება უნდა იყოს, რომელთაც თავის სურვილის მიხედვით უნდა განაწილონ და განაწესრიგონ ამ მიწით სარგებლობა. სპენსს კარგად შეგნებული ჰქონდა რწმენა, რომ ადამიანს უფლება არა აქვს დაისაკუთროს ის ყველასათვის ერთნაირად საჭირო, ცხოვრებისათვის ერთად ერთი გამოუდეგელი განძი-ბუნება.

დავუკვირდეთ, მკითხველო, ამ მარტივ, ნათელ ჭეშმარიტებას. ავიღოთ მაგალითად ხე, დავუკვირდეთ იმის ბუნებასა და ზრდას. ნათლად დავინახავთ, რომ ადამიანს არავითარი წილი არ უდევს ამ ხის გაჩენასა და აღზრდაში. ხის ცხოვრება თავიდან ბოლომდის ბუნების წიაღში, ბუნების კალთაში სწარმოებს.

ხის დასაბამი, თესლი—ბუნების ნაყოფია და არა მიწის პატრონის შექმნილი. უკანასკნელს არ გაუჩენია აგრეთვე ის ქარი, რომელიც თესლს იტაცებს, სხვა ადგილზე გადააქვს, მიწაზე აგდებს, სადაც თესლი თავის აღმზრდელ ნიადაგზე მოხვდება, წვიმას, და არა მიწის მესაკუთრეს უნდა, რომ მოდის, ფესვები და ძირი ამოაცენოს, ფესვი დედამიწაში ჩაუშვას საკვების საძებრად და ძირი მაღლა ჰაერში აუშვას ჰაერის შესასუნთქავად. მკითხველი ნათლად ხედავს, რომ ხის ზრდა მხოლოდ ბუნების ანაბარად სწარმოებს, მიწის მესაკუთრე კი ამ დროს იქნება მხართეძოზე წევს და არხეინად ჩიბუხს აბოლებს. რა განუწყვეტლად შრომობენ ხის ფესვები, ახალგაზრდობიდან მოკიდებული სიბერემდის, რომ საკვები არ დააკლონ თავის გასაზრდელს, ბლომად ამოსწუწნიან დედა-მიწას და მიაწოდონ ხეს ნოყიერი წვენი. რა შრომას აძლევს ამ დროს მიწას მესაკუთრე ლორდი, გარდა ამისა, რომ სხვას, მშრომელს, ამოსწოვს და თავის უსაქმო სხეულს შეჰმატოს ნოყიერი წვენი. ხე მთელი დღე ჩვენთვის უხილავ ფუც-ფუცშია, მთელი მისი ძირი და ტოტები თავიდან ბოლომდის ფესვებისაგან ამოზიდულ ნოყიერ წვენის განაწილებასა და შეთვისებაშია გართული. რა ფუცფუცშია, ერთი მიბძანეთ, ამ დროს მიწის მესაკუთრე, რომელსაც ხის გაზრდება არ ესმის, იმის საქმეში არ ერევა, და თუ დაფაცურდა ოდესმე, მხოლოდ იმიტომ, რომ მოჯამაგირეებს თავზარი დასცეს, თავის ბეღლებში განაწილებინოს თავისი საკუთარი შესათვისებელი, მუქთად მიღებული, სხვისი ნაოფლარი მოსავალი? და, განუწყვეტელ გარჯის შემდეგ, ხე გაიზარდა, ტანი აიყარა, მოწიფულობაში შევიდა, სრულ ასაკს მიაღწია, სქლად დაფოთლილი ტოტების გვირგვინით შეიმკო. რა გააკეთა ამასობაში მიწის მესაკუთრემ კი, რომელსაც ყველა ამაში ერთი ბეწო წილიც არ უდევს, რომელიც უკვე გაზრდილი, ტანაყრილი, მოწიფული, ასაკში შესული და უსაქმობის ჩაჩით შემკული, მეტადრე ჩვენში, მუ-

და მოიწვია რამდენიმე გარეშე კაცი, რომ მათთან ერთად გამოარკვიოს, რა მიმართულებას უნდა დაადგეს და როგორ გააუმჯობესოს ჟურნალი.

◆ **ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობამ უარი განაცხადა** იმ ქუჩებისა და მოედნების დასუფთავებასა და შეკეთებაზე, რომელიც რკინის გზის სადგურების მახლობლად არის ან რკინის გზის რაიონშია. გუშინ რკინის გზამ აცნობა ქალაქის გამგეობას განმარტება სამინისტროსი, რომლის ძალითაც ყველა გზატკეცილი და გზა, რომელიც სამინისტროს უწყების განკარგულებაშია, ამ უწყებამ უნდა ასუფთაოს და აკეთოს, ხოლო რაც ქალაქის განკარგულებაშია—ქალაქმა უნდა იკისროს.

◆ დღეს, 26 აგვისტოს, **დაიწყება ეგზამენები სათავად-აზნაურო გიმნაზიაში.** მთხოვნელები მრავალია, მაგრამ ვაკანსია ცოტაა.

◆ ტფილისის მაზრის მარიენფელდის და სხვა კოლონიების **გერმანელებსაც განუცხადებიათ თავიანთი გაჭირვებანი გენერალ თავ. ჭავჭავაძისათვის**, როდესაც იგი სართიჭალაში ყოფილა. გერმანელებს უთხოვნიათ სახელმწიფო მიწების ნადელებად დარიგება. ჭავჭავაძეს მათი თხოვნა ნამესტნიკისთვის წარუდგენია.

◆ როგორც ნამდვილად გავიგეთ, სიმართლეს მოკლებულია ამას წინად გაზეთებში დაბეჭდილი ამბავი, ვითომ **პეტრე ყიფიანი ქუთაისის მაზრის უფროსად ინიშნებოდეს.**

◆ ამას წინად **ჩაქვაში ვიღაცებს მოუკლავთ რუსი მუშა.** ამ საქმის გამოძიებას შესდგომიან დაბა ლანჩხუთის მცხოვრებნი და მკვლელები, ორი კაცი უპოვნიათ, სასჯელის გადაწყვეტის დროს საზოგადოება ორ დასად გაყოფილა. ერთი თხოულობდა ჩამოხრჩობას, მეორე პატიებას. ბოლოს დაუდგენიათ: გადაახდევინონ ქურდებს ოთხასი მანეთი მოკლულის ცოლის სასარგებლოდ, შემდეგ დაამწყვდიონ ბორკილ გაყრილნი ქვესის თვით კანცელარიასთან და ბოლოს განდევნონ დაბიდან („ნ. ვ.“).

◆ გურიაში, სოფელ ვაკეში, ზოხვარი ჯაშის რევოლვერით მოუკლავს ლევარსია ქადეიშვილი. („ნ. გ.“).

◆ ამ დღეებში რიყისა და დესიმონოვის ქუჩის მცხოვრებთ სთხოვეს ქალაქის გამგეობას, ამ ქუჩაში არხი გაიყვანოს. მთხოვნელნი აცხადებენ, რომ საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობა სიტყვიერად შეგვატყობინა, რომ საკრედიტო საზოგადოება 7000 მან. შეეწევა ქალაქს არხის გასაყვანადო. ქალაქის გამგეობამ ამის შესახებ მისწერა გუშინ საკრედიტო საზოგადოებას.

◆ 25 აგვისტოს ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ ჰეისახ ბროდსკის მაღაზიაში შეპარულიყვნენ ვიღაცეები და რკინის საფულე ყუთის მტვრევას შესდგომიან. ქურდებისათვის გაუგიათ და ის იყო შექმნეს ხმაურობა მათს დასაჭერად, რომ გადამალულან.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით, ტფ. პოლიცმეისტერმა გუშინ პოლიციის ბოქაულებს დაავალა, ორის დღის განმავლობაში შეადგინონ სიები იმ დაწესებულებათა და პირთა, რომელთაც ეძლევათ შეღავათი ფოსტის კორესპონდენციების გაგზავნის დროს.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი. 23 აგვისტოს, ღამე, გამარცვეს არქივი ოლქის სასამართლოსი და წაიღეს ორმოცამდე რევოლვერი, ბერდანის თოფი, ხმალი და ხანჯალი. ქურდები უკვალოდ დაიკარგნენ.

ოლქის სასამართლოს გადამწერთა მოთხოვნილება რამოდენიმედ დაკმაყოფილეს. ჯამაგირი მოუმატეს.

24 აგვისტო.

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემია“ იუწყება, ნიჟეგოროდის სამრეწველო კომიტეტი, ბაქოდან მოსულ საშინელის ამბების გამო, რომელიც მთელს ვოლგისა და ფაბრიკის მრეწველობის შეჩერებას იმუქრება, სთხოვს ფინანსთა მინისტრს მიიღოს ენერგიული ზომები საქმის მოგვარების შესახებ.—ნოვოროსიისკი, რომელშიაც 400 ათასამდე მცხოვრები ითვლება და რომელიც დიდს ვაჭრობას ეწევა პურით, შუამდგომლობს, რომ მას ცალკე წარმომადგენელი ჰყავდეს სახელმწიფო სათათბიროში.

მთავარ-სამხედრო და სამხედრო-საზღვაო სამსჯავროების თაოსნობით მთელი რიგი ცვლილება შეიტანეს ფლოტის მოსამსახურეთა დასჯის საქმეში, რომელთაც ბრალად დაედება აჯანყებასა ან სხვა პოლიტიკურ დანაშაულში მონაწილეობის მიღება.

„რუს“-ი იუწყება, პეტერბურგის ქალაქის სამმართველოს ცნობა მოუვიდა, სახელმწიფო სათათბიროში არჩევნებზე მოსალოდნელი ხარჯი მთლიანად ქალაქ პეტერბურგს აწევია კისერზე და მას თვითეული წარმომადგენელი დაუჯდება 8 ათას მანეთად.

25 აგვისტოს შეიკრიბება საუწყებათაშორისო კომისია ადგილობრივი და საერთოდ პურის ყიდვის შესახებ დამშეულ გუბერნიებისთვის.

„სლოვო“ იუწყება, სამხედრო სამინისტროში კომისია არსდება ჯარში საჭირო განახლების შეტანის შესახებ, რაც უკანასკნელმა ომმა უკარნახათ. მუშაობა დიდი იქნება და, ფიქრობენ, 2 წლის განმავლობაში დასრულდება. ესევე კომისია საკითხს აღძრავს ომში დაზიანებულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების უზრუნველ ყოფის შესახებ.

საქალაქო დებულების გადასინჯვა დაიწყება ოქტომბერში. ახალ პროექტს წარადგენენ სათათბიროს მეორე სესსიაში. ამ დღეებში გამოაქვეყნებენ საერობო უფროსებისადმი ინსტრუქციას.

„ნაშა ჟიზნ“-ის სიტყვით, სამხედრო მინისტრმა ბრძანა, რომ ის ჯარები, რომელთაც სამოქალაქო მთავრობის დასახმარებლად გამოიყენებენ, გამოიყენონ ხოლმე მათდამი მიკუთვნებულ იარაღით, და არამც და არამც არ იხმარონ წნელები და თოკები. ეს ბრძანება გამოქვეყნებულ იქნა ყაზანის სამხედრო ოლქში.

„კოტლინი“ იუწყება, დამტკიცებულ იქნა ბრძანება ადმირალთა რიცხვის შემცირების შესახებ.

„სინ ოტეჩესტვა“ იუწყება, გრაფ სოლსკის კომისიის მუშაობა ორის კვირის შემდეგ დასრულდება.

გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციისაგან

რედაქცია აუწყებს იმას, ვისაც წლის მეორე ნახევრის ფული არ შემოუტანია, დროზე შემოიტანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა მოესპობა 1 ენკენისთვეს. ამასთან სთხოვს რედაქცია ხელის მომწერს, ფულის გამოგზავნის დროს, გამოგზავნოს აგრეთვე ბანდეროლიანი ნამდვილი ადრესი.

თათრების და სომხების შეტაკება.

ბრძოლის დაცხრომას არა ეშველა რა არც 23 და არც 24 აგვისტოს. 23 აგვისტოს, როგორც იყო, ორივე ერის სამღვდელოებას და წარმომადგენლებს გაუვლიათ ქუჩაში, სროლა ცოტათი შესუსტებულა, მაგრამ საომოთი ისევ განახლებულა. სხვათა შორის, დაუშენიათ გენერალ გუბერნატორის სახლისთვის. საქმე ისე გამწვავებულა, რომ ჯარს ვერაფერი გაუწყვია. ხალხის დაწყნარებას ცეცხლი აძნელებს. ქალაქში უბანი, თითქმის ქუჩა-კი აღარ არის ისეთი, სადაც სახლებს ცეცხლი არ ეკიდოს. ყველგან მხეცური ხოცვაა. დანდობით აღარავის ინდობენ თურმე. ჯარს ბოლოს ზარბაზნებიც უხმარია, მაგრამ ვერც ამას უშველია საქმისთვის. გუშინ ხოცვა-ჟლეტა უფრო გაძლიერებულა.

—

მანთაშევმა თავის საქმეთა მართველისაგან გუშინ, 25 აგვისტოს, დეპეშა მიიღო. დეპეშა გამოგზავნილია გუშინ დილის 10 საათსა და 53 წუთს. დეპეშაში სწერია: 25 აგვისტოს ღამე სულ ერთიან გადაიწვა ბიბი-ებათი; მუშები, როგორც იყო, გამოყვანილ იქმნენ. ცეცხლისაგან სრულიად გადაიწვა ნავთის კომპანია კასპიის ნავთის მწარმოებელ ამხანაგობისა. გენერალ-გუბერნატორის განკარგულების მიუხედავად, ზაბრატის სამრეწველო ქანტორებიდან მსახურნი და მუშები არ იქმნენ განთავისუფლებულნი. მათი არა იციან რა. ქალაქში ცოტა სიწყნარე ჩამოვარდა. სამრეწველო ადგილებიდან ქალაქში დიდ-ძალი მუშა-მოსამსახურე შემოვიდა. დროებით ბინები უშოვნეს გამოქცეულთ. მოსულებს სრულიად დაუკარგავთ, რაც გააჩნდათ. დიდძალ ხალხისათვის ანგარიშია გასასწორებელი. საჭიროა შემწეობის აღმოჩენა.

—

24 აგვისტოს თარიღით ზანზეგურის მაზრიდან ოფიციალური დეპეშა მოვიდა. სრულიად გაუნადგურებიათ სოფლები: დუდაჩუ, ახილლო, ალმულახი, ხარიმეიჯი. გადაუწვავთ სრულიად პურის მოსავალი, საბრეშუმო ფაბრიკა. მცხოვრებთა ერთმა ნაწილმა მოასწრო და სოფლებიდან გაქცევა. რამდენისამე სოფელს ალყა არტყია. მაზრის უფროსი 6 ვერსის მანძილზეა ამ სოფლებიდან და მცხოვრებლებს დახმარებას ჯეროვნად ვერ უწევს.

—

ტფილისს დიდძალი ხალხი მოაწყდა აღმოსავლეთ კავკასიიდან, სადაც ჟლეტა-ხოცვაა. მოდიან ბაქოდან, შუშიდან და სხვა ადგილებიდან.

—

გუშინ, 25 აგვისტოს, სომეხთა წარმომადგენელნი წარუდგნენ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწეებს და სთხოვეს დახმარება. აცნობეს ეხლანდელ შეტაკებას პანისლამისტური სარჩული უდევს და საჭიროა მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქციოსო. დეპუტატებმა დეპეშა გაუგზავნეს აგრეთვე კავკასიის ნამესტნიკს.

—

ოფიციალური ბრძანება გამოვიდა, რომ დაუყოვნებლივ გაგზავნილ იქმნას ბაქოში რამდენიმე ზარბაზანი, ერთი ბატალიონი ქვეითა ჯარისა, გუნიბის პოლკის ოთხი როტა და 100 ყაზახ-რუსი.

სოფლად

ქიზიყი. მოგეხსენებათ, ქიზიყში ბატონყმობა არ არსებობდა: აქაურ ხალხს არ გამოუცდია მძიმე უღელი მონობისა. ეს იყო მიზეზი, რომ ქიზიყელები უფრო გალაღებულნი, გამბედავნი და თავისუფლების მოყვარენი იყვნენ. ადგილ-მამულიც ბლომად ჰქონდათ და აურიცხველი ცხვარ-საქონელი და ქირნახულიც ეპადათ. ისე რომ ეკონომიურად ქიზიყი დანარჩენ ჩვენს კუთხეებზედ უფრო მაღლა იდგა. ვისაც ბ-ნ ფრონელის წერილები წაუკითხავს, რომელიც „ც. ფ.“-ში იბეჭდებოდა, დაინახავდა რუსების შემოსვლისას რა უბედურება დაატყდა საქართველოს, განსაკუთრებით ქიზიყს, რომელიც, როგორც თავისუფალი და გალაღებული კუთხე, ვერ შეურიგდა სხვის ბატონობას. მას შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ქიზიყს და ამ ორის წლის განმავლობაში ისეთი სისასტიკე და უბედურება დაატეხეს ხალხს, რომ ენა ვერ იტყვის. სასტიკი ზომები მიმართული იყო ქიზიყელების წინააღმდეგ, იმ მოსაზრებით, რომ წელში მოეტეხათ, გაენადგურებინათ, დაელაჩრებინათ ეს გულადი ხალხი და თავისუფლების მოყვარე მონად ექციათ. ამ გვარმა ზომებმა თითქოს კიდეც გასჭრესო, ქიზიყელები მიჩუმდნენ, ბედს დაემორჩილნენ და უსიტყვოდ ეწეოდნენ მძიმე უღელს. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად მოხდა, ნამდვილად კი ქიზიყელი ისევ ისეთი წინააღმდეგი მონა-მორჩილებისა და მოტრფიალე თავისუფლებისა, როგორც იყო წინად. ჯერ აქამდისაც გაისმოდა ჩუმი ხმა უკმაყოფილებისა. ეხლა ხომ მთლად ფრთა შეისხა ხალხმა. ხელი შეუწყო ამას ახლანდელმა მოძრაობამ. დღეს ხალხი ყველაფერს შეგნებულად, კრიტიკის თვალით უყურებს და უბრალო დაპირებას აღარ სჯერდება.

როგორც მოგეხსენებათ, ამას წინად ტფილისიდან გენერალი თავ. ჭავჭავაძე გვეწვია. თავადმა გამოუცხადა ხალხს, თქვენ ბედნიერები ხართ, ამდენი მამული გაქვთ და რაღასა თხოულობთო. ამაზე ხალხმა უპასუხა, რომ რასაც ჩვენ ვთხოულობთ, ჩვენის წერილობით უკვე იცით, და თუ ჩვენთვის კარგი გინდათ, შეგვისრულეთო. ამით გათავდა საქმე. ის კი, ვითომც ხალხს ეთხოვოს, მამულები კომლეულად დაგვიყავით და საკუთრებად მოგვეცითო, მართალი არ არის, ეს მხოლოდ ბ-ნ ნასიძის პირადი შეხედულებაა და არა ხალხისა.

16 აგვისტოს ს. ქვემო მაჩხაანში იყო ყრილობა, რომელსაც დაესწრო 400 კაცი მთელ ქიზიყიდან. გვეწვია მაზრის უფროსი, მორიგებელი შუამავალი, ბოქაულები, მარშალი და ბ-ნი ნასიძე. ამათ ხალხს გამოუცხადეს, რომ მთავრობამ გადასწყვიტა შემოიღოს ჩვენში ერობა და ამოარჩიეთ წარმომადგენელნიო. მთელს მაზრას ეკუთვნება 25 წარმომადგენელი, საკუთრივ ქიზიყს კი 4 წარმომადგენელი. თუმცა ქიზიყი შეადგენს 2/3 მთელის მაზრისას. ბ-ნმა მარშალმა განუმარტა, თუ ვინ და როგორ ან რამდენი წარმომადგენელი უნდა აირჩიონ. ბ-ნმა ნასიძემ, რომელიც ადმინისტრაციას მოჰყვა, მოკლედ განუმარტა ხალხს, რა არის ერობა და როგორ ბედნიერნი ვიქნებით ამას იქით. შემდეგ სიტყვა ითხოვა რამდენიმე იქ დამსწრე პირმა, რომელთაც აუხსნეს ხალხს ერობის ნამდვილი მნიშვნელობა და რას უნდა მოველოდეთ დღევანდელ პირობებში ამ ერობისაგან. აღარა ეს, რომ ვიდრე დღევანდელი წყობილება და ვითარება არსებობს, ერობა ვერ მისცემს ხალხს სანატრელ ცხოვრებას, სარგებლობას. ხალხი დაიშალა ორგვარის გრძნობით—უკმაყოფილოც და კმაყოფილიც. ვინც ამ კრებას დაესწრო და თვალყური ადევნა, კარგად დაინახავდა, როგორ განვითარდა შეგნება და თვითცნობიერება ქიზიყელებისა. 19 აგვისტოს უკვე მოხდა წარმომადგენლების არჩევა. ამ დღეს აირჩიეს სამი კაცი.

ამ წერილის დასასრულ არ შემიძლიან ერთი რამ არ ვუსაყვედურო ქიზიყელებს. თუ მაინცა და მაინც ღლეობებს ვერ მოსპობენ, ის მაინც მოახერხონ, რომ თავიდან აიცილონ ჩხუბი და დავიდარაბა, რომელსაც ხან კაცის კვლაც მოჰყვება ხოლმე. ხომ კარგად ჰგრძნობენ ქიზიყელები რა დრო დადგა! განა შეიძლება დღეს ასე ერთმანეთში დავიდარაბის ატეხა, ისიც სრულიად უსაფუძვლოდ, სიმთვრალისა გამო. ძალიან კარგს იზამენ ქიზიყელები, თუ ყველა სოფელში შეადგენენ პატარ-პატარა წრეებს, რომელთაც თვალ-ყური უნდა ადევნონ ყველაფერს. თორემ აბა რასა ჰგავს 15 აგვისტოს მომხდარი ამბები ს. ბოდბისხევში: რამდენსამე კაცს თავი გაუჩეხეს, ესეც არ იკმარეს და კაცი წუთი-სოფელს გამოასალმეს: ს. ზემო მაჩხაანს გლეხი კიკა საბატაშვილი ამ დღეს ხანჯლით მოჰკლეს, როგორც ამბობენ, თავისივე სოფლის გლეხებმა.

გ. წირელი

—

სოფ. ლევანკითი (ზემო იმერეთი) 21 აგვისტოს, როგორც დეპეშითაც გატყობინებდით, ხალხსა და სტრაჟნიკებს შორის შეტაკება მოხდა. საქმის გამოსაძიებლად ქუთაისის გუბერნატორმა, მიიღო თუ არა

დმავი მუქთა-ჭამობა? გამო მხოლოდ სხვებს უშლიდა გზებს, მოწინავეობას, და საკუთარის ნაშრომით დაკვირვებას. მკითხველს კარგად ესმის ყველა ამაში მიწის მესაკუთრის რიდი და ვერაფრის გზით ვერ აგვიხსნის, რასაკვირველია, რა გონებრივ და ზნეობრივ კანონის ძალით ხელს სტაცებს მიწის მესაკუთრე უიმისოდ აღმოცენებულ, გაზრდილ და მოწიფულ ხეს და ქვეყანას აუწყებს, ხამომებულთ, ეს ხე ჩემია და ვინც გაბედავს და მოეკარება, ძალიან სცირს ვაზვენებ.

მოუგნილი ფიქრები სენსის ნაწერის კითხვამ ამიძრა. ამ მხრივ ჭეშმარიტების მქადაგებელი მწერლები იმ მემუსიკეთა ჰგვანან, რომელნიც ნაზიერად შეთხზულ რამდენისამე ნოტით ფიქრთა და გრძნობათა მთელ გუნდს უღვიძებენ მკითხველს. ამგვარი მწერლები ჩვენთვის მხოლოდ გზის მაჩვენებელნი არიან, და ამ გზაზე ფეხს რომ გადვდგამთ, დღემდის უხილავი ახალი ქვეყანა გადაგვეშლება თვალ-წინ.

ი. ნაკაშიძე

გზა და გზა მანჯურიაში.

რუსეთის სადამოს გადმომცეს დეპეშა, ბრიგადის გენერლის მიერ გამოგზავნილი. მატყობინებდნენ, რომ თერთმეტს დილით უნდა გამოგზავრებულიყავით კიევის გუბერნიის ქალაქ უმანში; იქ ჩამოცხადდნენ ბატარეის ბოლკში, რომელიც მაშინ იყო მანჯურიაში გასამგზავრებლად. ორ დღეში უნდა მომზადებულიყავით წასასვლელად, უნდა ამეკვებინა ფაეტონი, დამებინავებინა ცოლ-შვილი და აგრეთვე მეც სამგზავროდ მოვმზადებოდი. რასაკვირველია, ასე მოკლე დროში ვერაფერი მოვასწარი. ქალაქის სადგური იყო უკანასკნელი, სადამდისაც გამაცილეს და სადაც ტირილი ასტეხეს. უკანასკნელ წუთამდის თავი მაგრად მეჭირა, მაგრამ ბოლოს ცრემლები ვეღარ შევიკავე. ორთქლ-მავალმა უკანასკნელად ამოითხრა და მიმაშორა სამშობლო მხარეს.

ქალაქიდან მეხუთე დღეს მივედი ქ. უმანში. გზაში მაკვირვებდა ვიცვე ვაგონის კუნჭულში და გარეთ ფანჯარაში გახედვაც კი მეზარებოდა. ათასნაირი ფიქრი ირეოდა ჩემს თავში და გულს მიკლავდა.

თერთმეტ ივლისამდის დავრჩი უმანში. თერთმეტ საღამოს ავიბარგენით და გავუდექით შორეულ გზას. მთელი პოლკი ოთხ ნაწილად გაჰყვეს და ნაწილ-ნაწილად გავედით ქალაქიდან. მთელი ქალაქი ფეხზე იდგა, ქუჩები სავსე იყო ხალხით, ყოველ მხრიდან ისმოდა დედაკაცების ტირილი, გზის ლოცვა.

მთელი შიდა რუსეთი ისე გავიარეთ, რომ შესანიშნავი ვერა ვნახე-რა. სულ ერთი და იგივე ბუნება გვეშლება თვალ-წინ. შესანიშნავია და მეტად დასანახი მდინარე ვოლგა თავის ნაპირებით და ვეებერთელა რკინის ხიდით. ხიდს სიგრძე აქვს ერთი ვერსი და მეოთხედი, მატარებელი მეტად დინჯად გადის ხიდზე და უნდება 9 წუთს. ხიდს იცავს ძალიან დიდი ყარაული. ყარაულები ძირს, წყლიდანაც ნავებით ათვალიერებენ ხიდის ბოძებს. აქედან იწყება რკინის დარაჯობა. დარაჯები იცავენ სულ პატარა ბიგებსაც და სადგურებს.

როცა უახლოვდებით ურალის მთის კალთებს, სულ სხვა სურათები გეხატებათ თვალ-წინ. ქალაქ უფიდან ზლატოუსტამდის მეტად ლამაზი ადგილებია. ურალის მთები დაფარულია გაუვალ ფიჭვნარით და არყის ხეებით. მდინარე იურუზანის და ურალის ნაპირები მოგაგონებთ ბორჯომის ხეობას. თვრამეტ ივლისს დილით მივედით ქ. ჩელიაბინსკში. აქ ერთი დღე დავრჩით. ქალაქი სამი ვერსის მანძილზეა სადგურზე დაშორებული. სადგურის მახლობლად ვეებერთელა ადგილი დაფარულია ახლად აშენებულ პატარ-პატარა დუქნებით. აქ გაჩაღებულია ვაჭრობა, ჰყიდიან ყველაფერს: ახალს, ძველს, დამპალს, ამყრალებულს. ყველაფერს კარგი ფასი აქვს. თუმცა მთელი ეს ადგილი ატალახებულია, ზოგან წყალიც სდგას, მაგრამ, როგორც სჩანს, ტალახი და წყალი ვაჭრობას ვერ აფერხებს და ამისათვის არავის მოუქცევია ყურადღება. ამ ადგილის გაჭირებისათვის, ხოლო ზაფხულზე ნაშიერების ამნაირი სიცხილი. თითონ რკინის გზის სადგური კარგა ვეებერთელა შენობაა. აქ ყოველ საათში მიდის და მოდის მატარებლები. სადგური მუდამ სავსეა ხალხით, შესავლებით ყოველ რჯულის ხალხს. დასაჯდომი ადგილი ნახევარსაც არა ჰყოფნის, მაგრამ ფეხზეც კარგად მოიწყობენ, თუ ცოდნისად საჭმელს დროზე შოვნა.

სადგურის მახლობლად, რამდენიმე ვერსის მანძილზე, მზადა სდგას ათასობით ახლად დამზადებული სხვა და სხვა ტიპის ვაგონი. ვაგონებს გარდა არც რკინის გზის მოხელეებს სხვა ნავთ და სარგებლობენ დროებით. ჩვენ, ოფიცრები, ჩელიაბინსკამდის ძლიერ ვიწროდ ვისხედით ვაგონში. ჩელიაბინსკში მოვიდა გიდეც ვაგონების დამთვალიერებელი და გვითხრა, თითო კაცზე თითო მანეთი გამოიღეთ და ისეთ ახალ ვაგონს მოგცემთ, რომ ორჯელ მეტი იქნება და შეგეძლებათ უფრო თავისუფლად იმოგზაუროთ. ვაგონი გამოგვიცვალეს, მაგრამ თხუთმეტ მანეთის მაგიერ ხუთი მანეთის მეტი ვერ მიიღო. მე ძლიერ წინააღმდეგი ვიყავი ამისაც, მაგრამ ადარავინ მკითხა *).

ჩელიაბინსკიდან იწყება თვალ-გადაუწვდენელი ველები, რომელიც ზოგან დაფარულია გაუვალ არყის ტყით, ზოგან-კი ერთი ადლის სიმაღლე ბალახით. შესანიშნავია, რომ ჩელიაბინსკიდან ალტაის მთის კალთებამდის გარდა არყის ხისა სხვა ჯიშის ხეს ვერა ნახავთ. რკინის გზის ორივე მხარეს ათასობით ხედავთ ვეებერთელა ტბებს. მეტად კარგი სანახავია ციმბირის გზა და გზა ადგილები. ამდენი თავისუფალი ადგილი და ასე მდიდარი ტყით, წყლით, ბალახით! აქ, მგონი, შეიძლება მთელის რუსეთის მცხოვრებთა დატევება. ეს ამდენი ადგილი მიტოვებულია უპატრონოდ. სოფელი სოფელზე დაშორებულია 30—40 ვერსის მანძილზე. როგორც მიამბეს, ხალხი მეტად მდიდრად სცხოვრობს აქ. ერთმა ქალმა გლეხმა მიამბო ერთ სადგურზე, რუსებურ გლეხს ძვირად იქნება რომ ათასი და ორი ათასი ფუთი პური არა ჰქონდეს შინ შენახული. მიწა ძლიერ ნოყიერია, დესეტინა, კარგ მოსავლიან წელიწადში, იძლევა ორას ფუთს. ტყეს, სადაც გინდა, იქა გაჩეხე, არავინ არ გკითხავს; თავის ვის რამდენი სურს და სად, იმდენს სთიბავს, თითოეულ გლეხს ოცი-ოცდაათი ძროხა მაინც ჰყავსო. მიდიხარ გზაზე და ხედავ, რომ რკინის გზის თითქმის ყველა მოსამსახურეს, სადგურის უფროსიდან უბრალო მესისამდე, საქონელი ჰყავს. მაგალითად, ერთ უბრალო მესისის ბაგში თხუთმეტი ძროხა და ექვსი ცხენი დავთვალეთ. ყოველს სადგურზე რძე და კარაქი თავზე საყრელად არის, შაურად სამი ბოთლი რძე შეგიძლია იყიდო, ხოლო ხუთ შაურად გირვანქა საუცხოვო კარაქი. ხორცი, სამსახურად, აქ ნაღდს არ იძლევა. როგორც მიამბეს, ბევრჯელ უფასოთ გაშენება, მაგრამ არა გამოსულა-რა. თამამად შეიძლება თქმა, რომ ციმბირი რუსეთზე მდიდარია. ნეტავ სადა სძინავთ იმ ვაჟბატონებს, რომელნიც სცდილობენ ქართველებს უკანასკნელი ნაჭერი მიწა წაჰგლიჯონ და ზედ რუსეთიდან გადმოსულები დაასახლონ? ნუ თუ ამაზედ კარგი ადგილი მათვის კიდევ სადმე მოიძებნება?

ჩელიაბინსკიდან ქალაქ კრასნოიარსკამდის გზაზე შევხვდით თოთხმეტ სავადმყოფო მატარებელს. თითო მატარებელში სამასიდან ოთხასამდე ავადმყოფი იყო. ავადმყოფების საწოლი მეტად კარგად არის მოწყობილი. ავადმყოფებს შორის ქართველი დაჭრილი სალდათებიც ერივნენ. სადგურ მაკუშინოში შორეულად შევხვდი მატარებელს, რომელშიაც მოჰქონდათ რამდენიმე დაჭრილი და ტყვე იაპონელი. მნახველს გული შეუწუხდებოდა: ისხდნენ მეოთხე კლასის ვაგონში, ავადმყოფებს ლოგინი არა ჰქონდათ, არ ახლდათ თან არც ერთი ექიმი და არც ფერშალი. წვიმიანი ამინდი იდგა და გზაში მეტად ციოდა; ჩვენ თბილ ტანისამოსში გვცხოდა ბრით სიცივეს, და წარმოიდგინეთ, დაჭრილების მდგომარეობა მარტო საზაფხულო [illegible]დში! ერთი მათგანი ძლიერ დაჭრილი იყო ხელში, მეტად სწუხდა, რამდენიმე დღე ჭრილობა თურმე არავის შეეხვია გზაში და არ გაეხსნა. ეს ავადმყოფი ეგდო ტიტველ ფიცარზე და იტანჯებოდა. ტყვეებში ერია ერთი აფიცერი, რომელიც მოთავსებული იყო მეორე კლასის ვაგონში ჩვენ აფიცერთან ერთად. საზოგადოდ, როგორც სალდათებს, ისე აფიცრებს ამათაც და კეთილშობილურად ეპყრობიან. აფიცერი რუსულად ლაპარაკობდა, მინდოდა ლაპარაკი, მაგრამ მატარებელი დაიძრა და ვეღარ მოვახერხეთ.

დღეს მეორე დღეა, რაც უმანიდან გამოვედით და ქ. კრასნოიარსკში ვართ. კრასნოიარსკი ძლიერ ნაგვიანი ქალაქია; შენობები თითქმის ყველა ხისაა; ქუჩები მოუკირწყლავი, ქვაფენილების ხსენებაც კი არ არის, ქალაქი მტვრით არის სავსე. ჩვენი უკანასკნელი დაბანაკება კი უფრო კარგია ამაზე. მხოლოდ მეტად კარგი სანახავია აქ მდინარე ენისეი და ვეებერთელა რკინის ხიდი. რას ვიტყვით, როცა [illegible] გრძნობდით, თუ ოდესმე მდ. ენისეიზე ნავით სეირნობას და ბანაობას ვეღარ ვიგრძნობთ. მდ. ენისეი თითქმის ყველა მდინარეზე დიდი და ლამაზია.

კრასნოიარსკში შევხვდი რამდენისამე მეგრელს, რომელნიც მეცხრე წ დივიზიიდან, რაც გამოგზავნიათ და დღე დღეზე ელიან განთავისუფლებას. ჩვენ პოლკში ქართველი სალდათები ბლომად არის, თითქმის ყველანი მეგრელები არიან ზუგდიდის მაზრიდან.

ეხლა სადამოს ჟამია, ქართველი ბიჭები გარს მახვევიან და ხმამაღლა ქართულ სიმღერას გაჭიკჭიკებენ. მთელი ქალაქი ფეხზე დგას. მართალია, საქართველოში არ მივდივართ, მაგრამ, რა ვქნათ, სიმღერით მაინც გულს ვიქარვებთ ფიქრებს. შიში და დარდიანობა, თქვენც იცით, ვერ დაგვითმობს იაპონელებთან ტყვეობას.

პორუჩიკი ა. აბესაძე

1 აგვ. 1905 წ. ქ. კრასნოიარსკი.

---

*) როგორც სხვა ეშელონის აფიცერმა მიამბო, ამ ვაჟბატონს მათგან ფულის მაგიერ ერთი ბოთლი ონიაკი აუღია. ფგტ.

ცნობა, გვგზავნა სოფელ ლვანკითში თავისი თანაშემწე ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი ა. ყიფშიძე. 22 აგვ. შუადღის 2 საათზე, ბატონი ყიფშიძე მაზრის უფროსის თანხლებით მოვიდა ს. ლვანკითში და მაშინვე შეუდგა საქმის გამორკვევას. აღმოჩნდა, რომ 21 აგვ., შეტაკების დროს ორი გლეხი მომკვდარა, ორიც დაჭრილა, ხოლო „სტრაჟნიკთა“ შორის მოკლული არავინ არის და დაჭრილი-კი ერთია. ვიდრე შეუდგებოდეთ შეტაკების ამბავის მოთხრობას, საჭიროდ მიმაჩნია გაცნობოთ ის, თუ რა პირობებში იყო ჩაყენებული სოფელი ლვანკითი დღემდე.

ლვანკითში სცხოვრობს უგანათლებულესის თავადის ალექსანდრე ბაგრატიონის ქვრივი თავის ერთად ერთ მცირე წლოვანის შვილით. როცა ქუთაისის გუბერნიაში საზოგადო მოძრაობა დაიწყო, უგან. თავადის ქვრივის თხოვნით, შორაპნის მაზრის უფროსად ნამყოფმა ლეონიძემ ს. ლვანკითში დააყენა სამი სტრაჟნიკი. ეს სტრაჟნიკები დღემდის ლვანკითში იყვნენ და ხალხთან არავითარი შეტაკება არ ჰქონიათ. საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო ის გარემოება, რომ სამ სამ სტრაჟნიკში ერთი ადგილობრივი მემამულე ყიფიანი და მეორე ლვანკითელი გლეხი ქარქაშაძე. ამ ნაირად იყო საქმე როცა ოცდა ერთ ამთვეს ლვანკითის სკოლის შენობასთან შეიკრიბა სოფლის ხალხი აზნაურის როსტომ ბაგრატიონის გასასამართლებლად. აზნაურ ბაგრატიონს უჩიოდა ერთი ქალი, რომ ბაგრატიონი ჩემთან სცხოვრობდა და შვილები რომ შეუვეძინა, თავი დამანებაო. სოფლის ყრილობას უნდა გაერჩია ეს საქმე და თავისი მსჯავრი დაედო. საქმის გამოსარკვევად სოფლის მიერ ამორჩეულ მოსამართლეებს დაბარებული ჰყავდა რამდენიმე მოწმე და მათ შორის სამი ადგილობრივი თავადიშვილი.

რა მოხდა საქმის გარჩევის დროს, დანამდვილებით თქმა არ შეიძლება, რადგან ჩვენება თავად-აზნაურთ წარმომადგენლებისა მთლად ეწინააღმდეგება გლეხების ჩვენებას. აზნაურებისა და სტრაჟნიკების ჩვენებით საქმე ასე მოხდა: საქმის გარჩევის დროს ერთმა მოწმე თავადმა განაცხადა, რომ შეუძლებელია სამართლის ქმნა იმ დროს, როცა მოჩივარი და განსაკუთრებით დამნაშავე აქ არ არიანო. ამ განცხადებამ ვითომ ხალხში უკმაყოფილება და აურ-ზაური გამოიწვია, რასაც თან მოჰყვა რევოლვერების და თოფების სროლა. როდესაც სტრაჟნიკებმა, რომელნიც იქვე მახლობლად უგან. თავადის სახლში არიან დაბინავებულნი, სროლის ხმა გაიგონეს, მოცვივდნენ. ვიდრე რაიმე ზომებს მიიღებდნენ, ერთი მათგანი, სახელდობრ ყიფიანი, ხალხიდან გასროლილ ტყვიით დაიჭრა, დანარჩენებმა კი, რა დაინახეს ამხანაგი, ტყვიით განგმირული, დაუწყეს ხალხს სროლა. დაჟინებული სროლით შეშინებული ხალხი დაიშალა.

ასეთია თავად-აზნაურთა წარმომადგენლების ჩვენება, ხოლო გლეხნი სულ სხვანაირად ხსნიან საქმეს. როცა ხალხი გულდასმით უსმენდა ერთ ორატორს, ამ დროს მახლობელ სიმინდიდან გამოჩნდა ერთი სტრაჟნიკთაგანი, სახელდობრ ლვანკითელი ქარქაშაძე და მუქარით მოსთხოვა ორატორს, ლაპარაკი და ქადაგი შეეწყვიტნა. ორატორის გამოლაპარაკება მოინდომა, მაგრამ ამ დროს ხალხი აიშალა, სიმინდიდან თოფი გავარდა, ხალხმაც უპასუხა. ამ დროს სტრაჟნიკი ყიფიანი და მისი ამხანაგიც გამოჩნდნენ და ხალხს თოფი დაუშინეს. ხალხი დაიფანტა და სკოლის შენობის წინ ორი მოკლული დარჩა, ხოლო დაჭრილები თავ-თავიანთ სახლებში წავიდნენ. როგორც ხალხი ლაპარაკობს მოკლულების წოლება დაბინდებამდის ვერ გაბედეს, რადგან სტრაჟნიკები მიცვალებულების გვამების წასაღებად მოსულებს სიკვდილით ემუქრებოდნენ.

ვიცე-გუბერნატორმა ჩვენება დამსწრე პირთ ჩამოართვა პირის-პირ, ადმინისტრაციისა და ხალხის დაუსწრებლად. რამდენადაც ჩვენ ვიცით, ერთმაც და მეორე მხარემაც მისცა ერთმანეთის წინააღმდეგი ჩვენება, რომლის ნიმუშები ზევით მოვიყვანეთ.

არ ვიცით, რა დასკვნას დაადგება ვიცე-გუბერნატორი და ჩვენ კი გვგონია, რომ ზემოხსენებული ისტორია აღმოცენებულია აგრარული საკითხის ნიადაგზე, და სულ მცირე მიზეზი საკმაო იყო, რომ სისხლი დაღვრილიყო. შორაპნის მაზრის დასავლეთ საზღვარზე ორი დიდი მემამულეა; ანანოვები და უგანათლებულესი თავადი ბაგრატიონი-შარშანდლამდე ერთიცა და მეორეც მამულებს იჯარით აძლევდნენ ადგილობრივ გლეხებს, ქცევაზე ახდევინებდნენ 15—19 მანეთამდე. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ქცევა დესეტინის $^{3}/_{8}$ შეადგენს, ასეთი გადასახადი, რა თქმა უნდა, სამძიმოდ უნდა ჩაითვალოს, თუმცა შარშანდელს აქეთ იჯარა შეამცირეს 6 მან., მაგრამ აქა-იქა კიდევ ისმის უკმაყოფილება. ამ გარემოებას, რომ დაურთოთ სტრაჟნიკების დაბინავება უგან. თავადის სახლში, მაშინ ადვილად მიხვდება კაცი, რამ წარმოშობა ზემოხსენებული ისტორია. ჩვენ კი გვგონია, რომ, რაც უფრო მალე განაშორებენ ს. ლვანკითში სტრაჟნიკებს, მით უკეთესი იქნება.

23 ამ თვეს აპირებდნენ მიცვალებულების დასაფლავებას და, როგორც ამბობდნენ, ახლო-მახლო სოფლებსა და ზესტაფონიდან მრავალი ხალხი უნდა წასულიყო დასაფლავებაზე.

კლდე.

რუსეთის ქრონიკა

იარაღის საწყობი. კიევში, როგორც ადგილობრივი გაზეთი „კიევლ.“ გადმოგვცემს, თოფ წამლის რამდენიმე საწყობი აღმოუჩენიათ. თურმე მთელი წრე ყოფილა სომხებისა, რომელთაც ეს საწყობები ჰქონიათ. ეს სომხები ბულკის გამომცხობის სახელით სცხოვრობდნენ კიევში. გაუცნიათ სომეხი სალდათები და იმათ წყალობით სხვა სალდათებთან დაუჭერიათ საქმე. სალდათები იარაღს იპარავდნენ და ხსენებულ სომხებზე ჰყიდდნენ. მართლაც, ადგილობრივ ჯარში რამდენიმე წლიწადია ამჩნევდნენ, რომ იარაღის საწყობებიდან სისტემატიურად იკარგება იარაღი. ქურდები ვერაფრის გულისთვის ვერ დაიჭირეს. მხოლოდ ეხლა საიდუმლო პოლიციამ იპოვნა კიევში რამდენიმე საწყობი. მთავარი საწყობი სომხებს პურის საცხობთან ჰქონიათ. იარაღი ინახებოდა ყუთებში. ამ ყუთებში უნახავთ სალდათის თოფები, ხმლები, რევოლვერები. პატრონა რამდენიმე ათი ათასი უპოვნიათ. მეორე საწყობი უნახავთ მიხაილოვის ქუჩაზე, ერთ სომხის ბინაზე; მესამე სხვა ქუჩაზე. იარაღი და თოფ წამალი უნახეს აგრეთვე შეპყრობილ სომეხ სალდათებსა. შეიპყრეს ჯერჯერობით სულ ხუთი სომეხი, ორი სომეხი სალდათი და ერთი რუსი სალდათი. როგორც გაზეთი სწერს, გამორკვეულია თურმე, რომ იარაღის მყიდველი სომხები სალდათებს ატყუებდნენ და ფულს აღარ აძლევდნენ.

აგრარული მოძრაობის საქმის განხილვა სასამართლოში. 20 აგვისტოს არლოვის გუბერნიის ქ. სევსკში ხარკოვის სამოსამართლო პალატის განყოფილებაში ირჩეოდა საქმე ამ მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის პოლუბინცევის და სხვა მებატონეების მამულებში მომხდარ აგრარულ მოძრაობა-არეულობის შესახებ. ბრალი ედებოდა 200-მდე გლეხს. დამცველებად იყვნენ ხარკოველი ადვოკატები ბულგაკოვი, არლოვი, პერგამენტი, და მოსკოველი—ჟდანოვი, ორლოვსკი, პერესი, სკლიარი და სტირანკევიჩი. („რ. ვედ.“).

გლეხთა მდგომარეობის გასაცნობად ამ დღეებში პეტერბურგიდან ზოგიერთ გუბერნიებში გაემგზავრება ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ბუტლერი. ბუტლერმა თვით გლეხებთან მოლაპარაკებით უნდა გაიცნოს და გამოარკვიოს გაჭირვება, რომელიც ადგიათ მიწის უქონლობით, და აგრეთვე გაიგოს ადგილობრივ საგლეხო ბანკების განყოფილებათა მოქმედება. საგლეხო ბანკი ისე უნდა გადაკეთდეს, რომ მარტო მცირე მამულიან გლეხებს აღმოუჩინონ შემწეობა. („რ. ს.“).

სახელმწიფო სათათბიროს წევრნი. როგორც უკვე გამოურკვევიათ, მომავალ სახელმწიფო სათათბიროში უმრავლესობას გლეხები შეადგენენ. გლეხებს მარტო შიდა გუბერნიებიდან ეკუთვნით 233 წარმომადგენელი, მემამულეებს—100 წარმომადგენელი და მოქალაქეებს 50 წარმომადგენელი.

სიკვდილით სასჯელი. მთავარმა სამხედრო სასამართლომ არ შეიწყნარა საკასაციო საჩივარი პოლონელ მუშის გაცეკ კომაროვსკისა, რომელმაც პოლიციელი მოჰკლა და რომელსაც ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გაზ. „ცნობის ფურცელი“-ს მე-2879 №-ში მოთავსებული იყო წერილი გორის მაზრის მცხოვრებ ლუარსაბ ფავლენიშვილისა, რომელიც აცხადებდა, რომ „თითქმის თვე-ნახევარია, რაც მე გორის მაზრის თავად-აზნაურთა მილიციას თავი დავანებეო“. რადგან მეც ლუარსაბ ფავლენიშვილი ვარ, ვაცხადებ, რომ მე, დუშეთის მაზრის მცხოვრები, ლუარსაბ ალექსანდრეს ძე ფავლენიშვილი, არასოდეს არ ვყოფილვარ იმ წრეში, რომელსაც სახელად „თავად-აზნაურთა მილიცია“ ეწოდება. ვსთხოვ სხვა გაზეთებსაც, ეს წერილი გადაბეჭდონ.

ლუარსაბ ალექსანდრეს ძე ფავლენიშვილი.

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

24 აგვისტო

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემია“-ს ცნობით შინაგან საქმეთა სამინისტროში ადგენენ სათათბიროს არჩევნების წესების დამუშავებას; ყველა მასალა, სათათბიროს დაკანონებათათვის საჭირო, 10 სექტემბრამდე წარმოადგენენ უსათუოდ. ამის შემდეგ საჭირო იქნება არა უმეტეს ოთხის სხდომისა. ამგვარად ყველა სამუშაო ოქტომბრამდე გაათავებენ.

„რუს“-ს გაუგია, რომ ერობის საქმეში შემდეგი ცვლილება მოხდება: „ახალის პროექტით ისპობა 1890 წ. შემოღებული წესები წოდებრივ არჩევნებისა და უბრუნდება 1864 წ. საარჩევნო სისტემას ქონებრივ ცენზის მიხედვით. გუბერნატორებს აღარ ექნებათ ნება ისე ჩაერიონ ხოლმე საქმეში, როგორც ახლა ხდება. გზებისთვის მიწების დათმობა და სხვა ამგვარები ერობაზე იქნება სრულიად დამოკიდებული. ერთის სიტყვით ახალი პროექტით ერობას მეტი შესაძლებელი თავისუფლება ეძლევა.

„ნაშა ჟიზნ“-ი იუწყება სათათბიროში საარჩევნო წესები განიხილა სოლსკის კომისიამ 19 და 20 აგვისტოს და საყურადღებოა შემდეგი ადგილი წესდებისა: კოლონისტის უფლებით ბ არჩევენ რწმუნებულთ სოფლებისაგან არა ნაუდაბისაგან. ყველა გუბერნიებს ქალაქებში ერთ და იმავე დროს იქნება საარჩევნო კრებები. არჩევნების დროს ჩამოვარდნილ უთანხმოებათა გასარჩევად არსდება საგანგებო საუწყებათაშორისო კომიტეტი შინაგან საქმეთა, ფინანსთა და სამხედრო სამინისტროების წარმომადგენლებისაგან. სათათბიროს პირველ სხდომას თავმჯდომარე, სეკრეტარი და მათ თანაშემწეების არჩევას შეასრულებს. ამ სხდომაზე თავმჯდომარეობს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დანიშნული პირი; იგივე მინისტრი დანიშნავს ბოქაულს ამ სხდომაზე თავმჯდომარის განკარგულების ასასრულებლად.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

25 აგვისტო.

პეტერბურგი. ხელმწიფის ბრძანებით ნებოგატოვის ესკადრის შტაბი და დანარჩენი აფიცრები პასუხის გებაში მისცეს და, როცა დაბრუნდებიან, დასჯიან განაჩენისდა მიხედვით.

პეტერბურგი. თანახმად პეტერბ. სამხედრო საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებისა ჩამოახრჩვეს ვასილიევი და გარშკოვიჩი: პირველს ბრალდებოდა წინასწარ განზრახვით უბნის ზედამხედველ კოვალიოვის მოკვლა, მეორეს-კი პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევა განჩხრეკის დროს, ბოქაულის თანაშემწე სტრახოვიჩისა და მეეზოვის დაჭრა.

ხერსონი, 24 აგვისტო. დილის 5 საათზე სისრულეში მოიყვანეს სასიკვდილო განაჩენი ოთხ დამნაშავეზე, რომელთაც სევასტოპოლის სამხედრო საზღვაო სასამართლოსთან არსებულ სადისციპლინო ბატალიონის კომანდირის მოკვლა ბრალდებოდათ. ესენი არიან მატროსები: პეტროვი, ტიტოვი, ადამენკო და ჩერნი.

სლავიანკა. უკანასკნელ დღეებში შეტაკება ხდება კორეაში. იუწყებიან, რომ იაპონიის ჯარებში უკმაყოფილება სუფევს ზავის ამგვარად გათავების გამო და იაპონიის რწმუნებულთ მოღალატეებს უწოდებენ.

ტოკიო. ხალხის მეტი ნაწილი ცივად შეხვდა ზავს. უკმაყოფილებას აცხადებენ აგრეთვე რადიკალური ორგანოები და ურჩევენ უარის თქმას რატიფიკაციაზე. წესიერება არ დარღვეულა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჟაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

13 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № (20 მარტი სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.) 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ., (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. გზამ № 90/91 ნაშუადღევს 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევს 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4) საქონ.-საგზ. № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); 2) საქონ.-საგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევს 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღ. 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.) 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევს 1 ს. 46 წ.) 2 ს. 44 წ.)

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევს 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდან: ნაშუადღევს 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წერილობით გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის დაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მესესხებელთაგან მიღება, ვადამდის ვალის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ს. ნ. პოლაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/a ქნ. ინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 113. (7.)

ბებია ქალი

ხოშიო ილიას ასული ბელგორდტ ლიკაძე გადავიდა ხაზინის (კაზნაჩეისტვოს) ქუჩ., სახლი № 7 კნ. თუმანოვისა, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ. (თ. — 256 — 33)

კბილებს

ვიღებ, პლომბს უკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვამორებ ცუდ სუნს. დ. მ იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—32)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე პატარა- შ. კ. შეგილისა—პოემა ბახნაზე.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მედანისა	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლით და მახვილით, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	80
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან [illegible]	1	—

[illegible]

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

[illegible]

ბუჰგალტერიის და საკანტორო ცოდნის კურსები

ტფილისის საკომერციო სასწავლებელთან

(წლიწადი მეექვსე)

კურსებზე ასწავლიან: ბუჰგალტერიას, საკომერციო არითმეტიკას, საკომერციო კორესპონდენციასა და სავექსელო უფლებას.

სწავლა დაიწყება 1905 წ. 14 სექტემბერს, კურსი გაგრძელდება 6 თვეს. სწავლა 3-ჯერ კვირაში საღამოობით. კურსების მსმენელებად მიიღებიან წერა-კითხვის მცოდნე პირნი სქესის განურჩევლად. ფასი 40 მან. კურსის განმავლობაში.

თხოვნებს იღებს ტფ. საკომერციო სასწავლებლის დირექტორი ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევს 1-მდე, საკომერციო სასწავლებლის კანცელარიაში. (6—5)

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნი-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისათვის

უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიზის გამოფენაზე

მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ამხანაგობას

რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისას

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულს 1860 წელს

რეზინის კალოშების ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას.

„С.-Петербургъ“

წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდად გაჭრობას აწარმოებს საგაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, ტაშკენტს და ტფილისში.

Доз. цен. Тифлисъ, 25 Августа 1905 г.
Печ. Груз. Изд. Т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—სა